www.24saati.ge

# 24 საათი

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 24 დეკემბერი, 2013 წელი. | №3435 (242) | ფასი 50 თეთრი

## კონტრშეტევა - საქმე N 2Ls310Js140656/00



„საქართველოს მთავარი პროკურორი ყაჩაღური ქურდობისთვის არის გასამართლებული," - განაცხადა გიგი უგულავამ და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავარ პროკურორ ოთარ ფარცხალაძეს გერმანიის ციხეში სასჯელიც აქვს მოხდილი.

უგულავამ ფარცხალაძის სისხლის სამართლის საქმის ნომერიც გაასაჯაროვა (2Ls310Js140656/00) და აღნიშნა, რომ საქართველოს მოქმედ მთავარ პროკურორს 2001 წელს აუგსბურგის რაიონულმა სასამართლომ ყაჩაღური ქურდობისთვის ერთი წლითა და სამი თვით პატიმრობა მიუსაჯა.

უგულავას განცხადებით, მანამ საზოგადოება ამ საქმის შესახებ სრულ პასუხს მიიღებს, საქართველოს მთავრობამ ოთარ ფარცხალაძე თანამდებობას უნდა ჩამოაშოროს.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

## ხელისუფლება მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის წინააღმდეგია

ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე სასამართლოში მოწმეთა დაკითხვის წესის ამოქმედების 2015 წლის 31 დეკემბრამდე გადავადების საკითხი განიხილეს.

მოწმეთა დაკითხვის წესის განხილვას სხდომაზე ხმაური მოჰყვა. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი წინააღმდეგია, მესამედ გადავადდეს ნორმის ამოქმედება, რომლის მიხედვით, მოწმე მხოლოდ სასამართლოში უნდა დაიკითხოს.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია მიიჩნევს, რომ იუსტიციის სამინისტროდან დასაბუთებული არგუმენტები უნდა მოისმინონ იმის შესახებ, რატომ ვერ მოხერხდა გამომძიებლებისა და პროკურორების გადამზადება სპეციალურად მოწმეთა დაკითხვის წესის ახალი ნორმის ამოქმედებისთვის. **„გვქონდა დათქმა, რომ ამ პერიოდში იუსტიციის სამინისტროს პროკურორ-გამომძიებლებისთვის ტრენინგები უნდა ჩაეტარებინა. ჩვენ უნდა მოვისმინოთ მიზეზები, ჩატარდა თუ არა და თუ არ ჩატარდა, რა იყო ხელშემშლელი ფაქტორი. ჩვენ თუ ამ არგუმენტებს ვერ მოვისმენთ, ძალიან რთულია, წინასწარ რამის თქმა,"** - ამბობს ეკა ბესელია.

უმრავლესობის კიდევ ერთი წევრი თამარ კორძაია მიიჩნევს, რომ აღნიშნული ნორმის ამოქმედების გადავადების დასაბუთებისთვის უფრო დამაჯერებელი არგუმენტებია საჭირო.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## უმცირესობა პარლამენტში დაბრუნების პირობებს აყენებს

საპარლამენტო უმცირესობამ, რამდენიმედღიანი პროტესტის შემდეგ, პარლამენტში მუშაობა გააგრძელა. როგორც უმცირესობის ლიდერი დავით ბაქრაძე აღნიშნავს, „ნაციონალურ მოძრაობას" არ აქვს ფუფუნება, რომ სხვადასხვა პირების უზრდელური ქცევის გამო საპარლამენტო ტრიბუნის გამოყენებაზე უარი თქვას.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პოლიტსაბჭოს სხდომის შემდეგ, პარტიამ საპარლამენტო დღის წესრიგის შესახებ 5 მოთხოვნა დააყენა:

1.შეიქმნას საგამოძიებო კომისია ხელისუფლების მხრიდან საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარესა და მოსამართლეზე ზეწოლის საკითხზე; 2. შეიქმნას საგამოძიებო კომისია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის უკანონო გატაცებისა და მასზე განხორციელებული ზეწოლის საკითხზე; 3. გაიმართოს ადამიანის უფლებათა და იურიდიული კომიტეტების ერთობლივ სხდომა, სადაც ვანო მერაბიშვილისა და გიგი უგულავას საქმეებთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავენ; 4. პარლამენტში მივიდეს სახალხო დამცველი; 5. უმცირესობის სხდომაზე მიწვეულ იქნეს მთავარი პროკურორი.

საპარლამენტო უმცირესობა დიპლომატიურ კორპუსთან და არასამთავრობო ორგანიზაცებთან შეხვედრებსაც გეგმავს. გარდა ამისა, პარტია სამართლებრივი მიმართულებით დავის გაგრძელებას აპირებს.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა „ნაციონალური მოძრაობის" მოთხოვნების საპასუხოდ აღნიშნა, რომ უმრავლესობა ოპოზიციის მოთხოვნებს განიხილავს და გადაწყვეტილებას ამ მოთხოვნების ადეკვატურობის მიხედვით მიიღებს.

*საკუთარი ინფორმაცია*

## ოფიციალური კიევი ევრაზიულ კავშირს „აკვირდება"

### ოპოზიცია კი დიდ სახალხო გაერთიანებას ქმნის

ივა შილაკაძე
თამთა კახაძე



უკრაინაში ანტისამთავრობო გამოსვლების მუხტი არ კლებულობს. კვირას „სახალხო ვეჩეზე" ისევ რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი მივიდა და ოპოზიციამ ახალი სახალხო გაერთიანების „ევრომაიდანის" შექმნის შესახებ გამოაცხადა. ხელისუფლება მანიფესტანტებთან დაპირისპირებაზე წასვლას არ ცდილობს.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

| | |
|---|---|
| 1 აშშ დოლარი | 1.6643⇩ |
| 1 ევრო | 2.2110⇩ |
| 1 ინგლისური გირვანქა | 2.5933⇩ |
| 1 თურქული ლირა | 0.8622⇩ |
| 100 რუსული რუბლი | 5.0433⇩ |

| | |
|---|---|
| თბილისი | 31°C - 20°C |
| ქუთაისი | 33°C - 20°C |
| ზუგდიდი | 32°C - 21°C |
| ბათუმი | 27°C - 21°C |

| | | | |
|---|---|---|---|
| ნავთობი | 3.19 | +0.00 | +0.16% |
| გაზი | 3.58 | +0.11 | +3.07% |
| ოქრო | 1,743.20 | -9.80 | -0.56% |
| ხორბალი | 868.50 | +12.25 | +1.41% |

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FM 102.4

ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

## ლევან კობიაშვილმა ლევანდოვსკი დაჯაბნა და ქება დაიმსახურა




გვ. 8

## სირიაში ბრძოლები გამძაფრდა

თამთა კახაძე
ივა შილაკაძე



სირიის ბევრ ქალაქსა და პროვინციაში დაპირისპირებულ მხარეებს შორის გაამწვავებული ბრძოლები მიმდინარეობს. იყენებენ ყველაფერს: ავიაციასაც, არტილერიასაც და ტერორისტული აფეთქებების პრაქტიკასაც. შესაბამისად, მსხვერპლმაც მკვეთრად მოიმატა. ამ ქვეყნის სამოქალაქო ომში უცხოელი მებრძოლების მონაწილეობა უკვე ბევრი სახელმწიფოს შეშფოთებას იწვევს და ყველა ცდილობს შესაძლო საფრთხის ნეიტრალიზაციას. ქიმიური იარაღის განადგურების პროცესი კი ჩვეული გრაფიკით მიმდინარეობს. 20 დეკემბერს რუსეთმა მომწამვლელი ნივთიერებების ტრანსპორტირებისთვის საჭირო საავტომობილო ტექნიკის სირიაში ჩატანა დაამთავრა.

ქალაქ ალეპოს რიგ კვარტლებზე სირიის არმია საჰაერო იერიშებს უკვე, დაახლოებით, 10 დღეა, ახორციელებს. ამის შესახებ „24 საათი" წინა კვირაში წერდა. „ბი-ბი-სი"-ს ინფორმაციით, სულ მცირე, 25 ადამიანი ემსხვერპლა მხოლოდ ხუთშაბათის დამბომბვებს.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## ირაკლი ღარიბაშვილის აშშ-ში ვიზიტი 2014 წლის პირველი ნახევრისთვის იგეგმება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი 2014 წლის პირველ ნახევარში ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტს გამართავს, - ამის შესახებ წლის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა.

ფანჯიკიძეს ვიზიტის თარიღი და დეტალები არ დაუკონკრეტებია. გარდა ამისა, საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, 2014 წლის იანვრის ბოლოს ირაკლი ღარიბაშვილი ვიზიტით გაემგზავრება ისრაელში, სადაც ერთ-ერთი განხილვის თემა ვიზების საკითხი იქნება.

„იქაც ვიწყებთ სავაჭრო ურთიერთობაზე საუბარს. ისრაელში ეკონომიკური კომისიის სხდომა გაიმართება," - აღნიშნა მაია ფანჯიკიძემ.

რაც შეეხება ისრაელთან უვიზო მიმოსვლას, მინისტრის განმარტებით, „უვიზო მიმოსვლა ძალიან მალე შევა ძალაში".

## მთავრობა „საქართველოს სუვერენულ ფონდს" ქმნის

მთავრობა „საქართველოს სუვერენულ ფონდს" აფუძნებს. ფონდის აქციათა 100 პროცენტის მფლობელი სახელმწიფო იქნება და მის კაპიტალში გადავა ამჟამად „საპარტნიორო ფონდში" არსებული სახელმწიფო აქციები. „საქართველოს სუვერენულ ფონდს" გადაეცემა: „საქართველოს რკინიგზა", „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია", „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა", „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი", „თელასი".

„სააქციო საზოგადოება - საქართველოს სუვერენული ფონდის შესახებ" კანონპროექტი მთავრობამ პარლამენტს უკვე წარუდგინა, სადაც აღნიშნული ფონდის მიზნებად დასახელებულია მომგებიანი საინვესტიციო პროექტების განვითარება და ხელშეწყობა, მომგებიან პროექტებში კერძო ინვესტიციების მოზიდვა.

თავის მხრივ, „საპარტნიორო ფონდი" „სტრატეგიული განვითარების ფონდად" გარდაიქმნება და ის „საქართველოს სუვერენული ფონდის" შვილობილი საწარმო იქნება, რომლის დამფუძნებელიც და აქციათა 100 პროცენტის მფლობელი თავად ეს ფონდი იქნება. მთავრობის შეფასებით, „საპარტნიორო ფონდის" მოქმედი სტრუქტურა და ფუნქციები საერთაშორისო პრაქტიკაში მსგავსი ტიპის ორგანიზაციებისადმი არსებულ მოთხოვნებს არ შეესაბამება და სახელმწიფო სტრატეგიულ საწარმოებში არსებული წილები სამეწარმეო რისკებისგან დაცული არ არის.

„საქართველოს სუვერენული ფონდი" ასევე დააფუძნებს „სტრატეგიული აქტივების კომპანიას", სადაც „საქართველოს რკინიგზის", „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის", „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის", „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის" და „თელასის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციები/წილები შევა.

„სააქციო საზოგადოება - საქართველოს სუვერენული ფონდის შესახებ" კანონპროექტის მიღებისა და ამოქმედების შემდეგ „საპარტნიორო ფონდის შესახებ" კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდება.



თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი დიდი მწუხარებით იუწყება, რომ 47 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა თეატრის ორკესტრის დირექტორი ***ტარიელ ყვავაძე*** და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ტარიელ ყვავაძე იყო შესანიშნავი პროფესიონალი, გემოვნებიანი მუსიკოს-შემსრულებელი, გულისხმიერი ადამიანი, კარგი ორგანიზატორი, ენერგიული პედაგოგი, ერთგული მეგობარი, დახვეწილი პიროვნება. მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია ოპერისა და ბალეტის თეატრისთვის.

ღირსეული მამულიშვილის ტარიელ ყვავაძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი კოლეგების, მეგობრების, ახლობლებისა და ქართველი მუსიკოსების გულში.

***თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი.***

# გიორგი მელაძე: „ჩემს დაბარებას პოლიტიკური მოტივი აქვს"

საპარლამენტო უმცირესობის წევრი და თბილისის მერის ყოფილი მოადგილე გიორგი მელაძე პროკურატურაში „თბილისის განვითარების ფონდისთვის" გამოყოფილი დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრების მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვის საქმეზე დაიბარეს.

მთავარი პროკურატურის განმარტებით, გიორგი მელაძე საქართველოს მთავარ პროკურატურაში მოწმის სახით იყო დაბარებული.

**„საქმე ეხება მელაძის თბილისის ვიცე-მერის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში დედაქალაქის რეაბილიტაცია-განვითარების მიზნით აიპ „თბილისის განვითარების ფონდისთვის" გამოყოფილი დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრების მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვის ფაქტებს,"** - განაცხადეს მთავარ პროკურატურაში.

დაკითხვაზე შესვლამდე გიორგი მელაძემ განაცხადა, რომ პროკურატურაში მის დაბარებას პოლიტიკური მოტივი აქვს.

**„მასობრივი შეტევები განხორციელდა თბილისის მერზე და მთლიანად თბილისის მერიაზე. ეს წმინდა პოლიტიკური საკითხია. მე გიგი უგულავას მოადგილე ვიყავი 2006-0008 წლებში, როდესაც ეს ფონდი საერთოდ არ არსებობდა, ანუ ამ საკითხთან არანაირი შეხება არ მქონია. აქედან გამომდინარე, თქვენ თავად განსაზღვრეთ, რასთან გვაქვს საქმე. ჩემი დაბარება მოხდა პოლიტიკური მოტივით. ამ საქმეზე დაკითხულია მერიის ასობით თანამშრომელი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრები, ჩემი მეგობრები და ნამდვილად არ ვაპირებ, გამოვიყენო დეპუტატის იმუნიტეტი, პროკურატურას მივცემ ყველა იმ ინფორმაციას, რაც გამაჩნია,"** - განაცხადა გიორგი მელაძემ.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" გიორგი მელაძის პროკურატურაში დაბარებას პარტიის მიმართ ახალი რეპრესიების დაწყებად აფასებს.

პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ზურაბ ჯაფარიძის განცხადებით, ეს ყველაფერი შეთანხმებული და კოორდინირებულია ყოფილ პრემიერ-მინისტრთან, სამოქალაქო სექტორში გადასულ ბიძინა ივანიშვილთან.

**„ეს არის ახალი ტალღა რეპრესიებისა „ნაციონალური მოძრაობის" წინააღმდეგ და გიორგი მელაძე ამის მაგალითია. ამის მიზანი არის ის, რომ ხელისუფლებას „ნაციონალური მოძრაობის" დასუსტება და განადგურება უნდა და ეს ყველაფერი შეთანხმებული და კოორდინირებულია სამოქალაქო სექტორში გადასულ ბიძინა ივანიშვილთან,"** - განაცხადა ზურაბ ჯაფარიძემ.

ნუგზარ წიკლაურის თქმით კი, მიუხედავად რეპრესიებისა, „ნაიცონალური მოძრაობა" ბრძოლის შეწყვეტას არ აპირებს.

**„ბიძინა ივანიშვილმა რამდენიმე თვის წინ თქვა, რომ პროკურატურასთან რიგები მაშინ შეწყდება, როდესაც „ნაციონალური მოძრაობა" წინააღმდეგობას შეწყვეტს. ჩვენ ვხედავთ, რომ პროკურატურასთან რიგებია, თუმცა „ნაციონალური მოძრაობა" წინააღმდეგობის შეწყვეტას არ აპირებს. ამის მიხედვით, ცხადია, ეს პოლიტიკური დავალებაა და ძალიან სამწუხაროა, რომ ხელისუფლება, ნაცვლად იმისა, ზრუნავდეს უმძიმეს ეკონომიკურ ფონზე, რომელიც ქვეყანაშია, პოლიტიკური ოპონენტების საკნიდან გატაცებით და პროკურატურაში დაბარებით არის დაკავებული. ეს არ არის გზა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ჯანსაღი პოლიტიკური გარემოს ჩამოყალიბებას,"** - აღნიშნა ნუგზარ წიკლაურმა.

დაკითხვის დასრულების შემდეგ გიორგი მელაძის ადვოკატმა გიორგი კონდახაშვილმა ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ გამომძიებლებმა მისი დაცვის ქვეშ მყოფი თბილისის განვითარების ფონდის შესახებ დაკითხეს.

**„დაისვა კითხვები თბილისის განვითარების ფონდის შესახებ. თუმცა, ჩვენ ავუხსენით გამომძიებლებს, რომ იმ პერიოდში, როდესაც გიორგი მელაძე მერის მოადგილე იყო, ეს ფონდი საერთოდ არ არსებობდა. მელაძე მერის მოადგილე 2006-08 წლებში იყო, ხოლო ფონდი 2010 წელს დაარსდა. პასუხები იყო სრულიად ობიექტური და ადეკვატური,"** - აღნიშნა კონდახაშვილმა.

ადვოკატის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი მოწმის სახით დაიკითხა და მისთვის ბრალის წაყენებას ან სხვა საგამოძიებო მოქმედებას ადგილი არ ჰქონია.

# ნატო-ს შეფასება

სახელმწიფო კანცელარიაში, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის კოორდინაციის სახელმწიფო კომისიის სხდომა გაიმართა.

კომისიის წევრებმა წლიური ეროვნული პროგრამის შესახებ ნატო-ს მიერ მომზადებული შეფასების დოკუმენტი განიხილეს. ასევე განისაზღვრა მომავალი წლის ეროვნული პროგრამის პრიორიტეტები და დიდ ბრიტანეთში დაგეგმილ ნატო-ს სამიტზე საქართველოსთვის სასურველი შედეგების მიღწევის მიზნით მოსამზადებელი სამუშაოები.



როგორც ნატო-ს მიერ მომზადებული შეფასების დოკუმენტის განხილვისას საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა აღნიშნა, მთავრობის მიერ შესრულებული წლიური სამოქმედო გეგმა ნატო-მ შეაფასა, როგორც ყველაზე კარგი გასული ხუთი წლის განმავლობაში.

სახელმწიფო მინისტრმა კოლეგებს და სახელმწიფო უწყებებს გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა. **„ჩვენი ნატოელი პარტნიორების შეფასებაში ასახულია თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები, ძალიან მნიშვნელოვანი პროგრესი სასამართლო, თავდაცვისა და პენიტენციურ სისტემაში. დოკუმენტში მითითებულია პოლიტიკური თანაარსებობისა და პრიორიტეტული მიმართულებებით რეფორმების გაგრძელების აუცილებლობა. მიმდინარეობს მუშაობა მომავალი წლის ეროვნული პროგრამის შემუშავებაზე და მომავალი წლის დასაწყისში ჩამოვა შემფასებელი მისია,"** - თქვა პეტრიაშვილმა.

პეტრიაშვილი დასძენს, რომ მომავალ წელს ნატო-სა და ევროკავშირში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტები შედგება.

***საკუთარი ინფორმაცია***

# მერაბიშვილი: რატომ გადაწყვიტეს ჩემი „დაკაჩავება" ჟვანიას გარდაცვალების ფაქტზე?

ყოფილი პრემიერი ვანო მერაბიშვილი „ფეისბუქზე" მორიგ განცხადებას აქვეყნებს. მერაბიშვილი ამბობს, რომ ხელისუფლების გეგმაა მისი გატეხვა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განადგურება.

„როდესაც ვაანალიზებ ბოლო დღეების მოვლენებს, ვფიქრობ, ვხვდები, რაშიც მდგომარეობდა მთავრობის, უფრო სწორად კი, პირადად ივანიშვილის გეგმა. პროკურატურამ დაინახა, რომ ქუთაისში მუდმივი ტარებით ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. საზოგადოებამ იცის, რომ სასამართლო სხდომების დროს დღეში შვიდი საათი მიწევს მგზავრობა წინ და უკან. ვფიქრობ, ამიტომაც გადაწყვიტა პროკურატურამ, რომ ჩემი გატეხვა შეიძლებოდა. იმ ღამის დეტალები საზოგადოებამ უკვე იცის, ამიტომ ხელახლა აღარ მოვყვები. მთავარი კითხვა, რაც პროკურორთან საუბრის შემდეგ დამრჩა, იყო ის, რატომ გადაწყვიტეს ჩემი „დაკაჩავება" ზურა ჟვანიას გარდაცვალების ფაქტზე. ისინი წელიწადზე მეტია, ხელისუფლებაში არიან და, წესით, უკვე ზუსტად უნდა იცოდნენ, რომ ზურა ჟვანიას გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებულ გამოძიებაში საეჭვო არაფერია," - აცხადებს მერაბიშვილი.

ყოფილი პრემიერი აღნიშნავს, რომ ეს ყველაფერი ემოციური ფონის შექმნას ემსახურებოდა და საზოგადოებას ახსენებს, რომ ხელისუფლებას არც ციხის კადრები გამოუძიებია და არც ამ საქმეში დამნაშავეები დაუსჯია.

„ქვეყანაში შეიქმნებოდა, დაახლოებით, ისეთი ემოციური ფონი, როგორიც ციხის კადრების შემდეგ შეიქმნა. ამ ფონზე მათთვის მარტივი იქნებოდა, როგორც გიგი უგულავას, ისე გიგა ბოკერიას და სხვა ლიდერების დაპატიმრება და სააკაშვილისთვის ბრალის წაყენება. ამას კი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის", პრაქტიკულად ერთადერთი სერიოზული ოპოზიციური პარტიის გაქრობა მოჰყვებოდა.

რატომ ახლა? ჯერ ერთი, ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მეორეც იმიტომ, რომ რეჟიმი ფიქრობს, რომ სწორედ ახლა, ვილნიუსის სამიტის დასრულებიდან ადგილობრივი არჩევნების დაწყებამდე აქვს ფანჯარა, რათა ივანიშვილის დავალება შეასრულოს და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" გაანადგუროს," - წერს ვანო მერაბიშვილი.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:**
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული.** ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# კონტრშეტევა - საქმე N 2Ls310Js140656/00

პირველი გვერდიდან

**„საქართველოს მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე გასამართლებულია აუგსბურგის რაიონული სასამართლოს მიერ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 249-ე და 252-ე მუხლებით ყაჩაღური ქურდობისთვის. ოთარ ფარცხალაძეს მიესაჯა ძირითადი სასჯელი - პატიმრობა 1 წელი და 3 თვე აუგსბურგის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. დამატებითი სასჯელის სახით კი განესაზღვრა საარჩევნო უფლებისა და გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა. დამატებითი სასჯელი ძალაშია 2016 წლის 22 აგვისტომდე. განაჩენი კანონიერ ძალაში 2001 წლის 14 მარტს შევიდა. მოვითხოვ საქართველოს მთავრობისგან დაუყოვნებლივ რეაგირებას, რათა თანამდებობას ჩამოშორდეს ოთარ ფარცხალაძე, ვიდრე საზოგადოება სრულად მიიღებს პასუხს ამ სისხლის სამართლის დანაშაულის შესახებ, რომელ საქმეშიც გერმანიაშია მსჯავრდებული საქართველოს დღევანდელი მოქმედი მთავარი პროკურორი,“** - განაცხადა გიგი უგულავამ.

უგულავა იმედოვნებს, რომ იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი **„გაისიგრძეგანებს იმ ვალდებულებას, რომელიც მას გააჩნია, როგორც მთავარი პროკურორის წარმდგენს და ამ საქმეს გერმანიიდან გამოითხოვს.“**

გუშინ ღამით საქართველოს მთავარი პროკურორის ნასამართლეობის შესახებ კომენტარი არც იუსტიციის მინისტრს და არც მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრებს გაუკეთებიათ.

გიგი უგულავას განცხადებას პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე გამოეხმაურა. კობახიძეს საქართველოს მთავარი პროკურორის ნაყაჩაღრობა არადამაჯერებლად მიაჩნია.

**„არ არის დამაჯერებელი. კომენტარს ვერ გავაკეთებ, ისევე როგორც ვანო მერაბიშვილის ზღაპარზე. ზოგჯერ პოლიტიკურ ბრძოლაში დამარცხება უბიძგებს ადამიანს, ასეთ მეთოდებზე წავიდეს. მიმაჩნია, რომ ეს არის სრული სიცრუე, მაგრამ თუ ვისაუბრებთ ჰიპოთეზებზე, მაშინ კანონმა უნდა იმოქმედოს,“** - განაცხადა კობახიძემ.

რაც შეეხება გიგი უგულავას საქმეს, თბილისის საქალაქო სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და დედაქალაქის მერს თბილისის განვითარების ფონდის თაობაზე წარდგენილ ბრალდებაზე 50 ათასლარიანი გირაო შეეფარდა.

მოსამართლემ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა პროკურატურის კიდევ ერთი შუამდგომლობა უგულავასთვის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ, რის შემდეგაც თბილისის მერს უფლებამოსილების შეჩერების შესახებ ღამის პირველ საათზე ტელეფონით აცნობეს.

გიგი უგულავას ადვოკატებმა საქალაქო სასამართლოს ორივე გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს. მიიღებს თუ არა წარმოებაში მეორე ინსტანციის სასამართლო უგულავას საქმეს, ეს მომდევნო 24 საათის განმავლობაში გაირკვევა.

**„ორი საჩივარი შევიტანეთ. პირველი ეხება 21 დეკემბრის განჩინებას აღკვეთის ღონისძიების შესახებ, რომლითაც საქალაქო სასამართლომ გიგი უგულავას 50 000-ლარიანი გირაო შეუფარდა. მეორე საჩივარი კი ეხება საქალაქო სასამართლოს 22 დეკემბრის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, გიგი უგულავა გადაყენებულ იქნა მერის თანამდებობიდან,“** - განაცხადა ადვოკატმა გიორგი გელხაურმა.

გიგი უგულავას თანამდებობიდან გადაყენების შესახებ საქალაქო სასამართლოს განჩინება თბილისის მერიას ჩაბარდა. დოკუმენტში ნათქვამია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება პროკურორს დაევალა, თუმცა მერიის წარმომადგენლებისთვის გაუგებარია, რა ფორმით მოხდება პროცესის აღსრულება და ხალხის მიერ არჩეული ქალაქის მერის თანამდებობიდან გადაყენება, რადგან კანონით ამის უფლება ზემდგომ პირს აქვს.

**„მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და იმ მუხლით, რომელსაც თავად მოსამართლე დაეყრდნო, თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს არა ბრალდებული, არამედ შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი ანუ პირი, რომელმაც ადამიანი მიიღო სამსახურში, დანიშნა ან აირჩია. შეგახსენებთ, რომ თბილისის მერი არჩეულია საყოველთაოდ, პირდაპირი არჩევნების გზით. იგი თანამდებობაზე გამწესებულია ხალხის გადაწყვეტილებით. ჩვენთვის გაურკვეველია, თუ როგორ უნდა მოხდეს თბილისის მერის გადაყენება. მას უფლებამოსილება უნდა შეუჩერდეს, თუ თანამდებობას საერთოდ ჩამოშორდეს. სავარაუდოდ, ეს გაურკვეველი იყო მათ შორის მოსამართლისთვისაც, რომელმაც აღნიშნული განჩინების აღსრულების ორგანიზება მთავარი პროკურატურის პროკურორ მალხაზ კაპანაძეს დაავალა, რომელიც ჯერჯერობით მერიაში არ გამოჩენილა,“** - განაცხადა თბილისის მერის მოადგილემ ირაკლი აბესაძემ.

მისივე თქმით, მერია გადაწყვეტილების აღსრულების განმარტების მიზნით პროკურორ მალხაზ კაპანაძეს ოფიციალურად მიმართავს, რათა უწყებას განემარტოს, კანონის რომელი მუხლის საფუძველზე უნდა იმოქმედოს.

**„ჩვენთვის საინტერესო იქნება, ბატონმა პროკურორმა მიგვითითოს კანონებიდან ის პუნქტები და მუხლები, რომელთა საფუძველზე და რა ფორმით უნდა მოხდეს ქალაქ თბილისის პირდაპირ არჩეული მერის თანამდებობიდან გადაყენება,“** - განაცხადა ირაკლი აბესაძემ.

გადაწყვეტილების აღსრულებამდე გიგი უგულავა ფორმალურად თანამდებობაზე რჩება.

თბილისის ვიცე-მერის სევდია უგრეხელიძის განცხადებით, გიგი უგულავას უფლებამოსილება უკანონოდ შეუჩერდა.

**„უგულავასთვის ამ გზით უფლებამოსილების შეჩერება ანტიკონსტიტუციური და უკანონოა. ამ წუთას დედაქალაქს მერი ჰყავს, ჯერ აპელაციის უფლებით არ უსარგებლია. მას შემდეგ, რაც აღკვეთის ღონისძიების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება იქნება, მერის მოვალეობას ვიცე-მერი შეასრულებს,“** - აღნიშნა სევდია უგრეხელიძემ.

მისივე თქმით, სასამართლომ გიგი უგულავას შესახებ გადაწყვეტილება ზეწოლის შედეგად მიიღო.

**„ვიფქრობდი, რომ ახალი პრემიერ-მინისტრი თავის მოღვაწეობას შეუდგებოდა არა როგორც მოძალადე და შურისმაძიებელი ადამიანი, არამედ როგორც დადებითი ადამიანი - ორიენტირებული საქმის კეთებაზე. ამ იმედს ვიტოვებდი. ჩემი მოლოდინი გაწბილდა, როდესაც მთავრობის სხდომაზე ირაკლი ღარიბაშვილმა მისურვა, რომ მერის მოვალეობა მალე შევასრულო,“** - განაცხადა უგრეხელიძემ.

თბილისის ვიცე-მერის განმარტებით, მას ახალი ხელისუფლება საფრთხედ არ მიიჩნევს და სწორედ ამიტომ უნდოდათ გიგი უგულავასთვის უფლებამოსილების შეჩერება.

**„ეს შურისძიებაა. საბჭოეთის და საბჭოთა აზროვნების სუნი მცემს, რაც ძალიან საშიშია. არასდროს ვყოფილვარ პარტიული. ის კი არა, „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისის მისამართიც არ ვიცოდი, სწორედ ამიტომ ვერ ხედავს ხელისუფლება ჩემში პრობლემას. ყველა პროექტს გავაგრძელებთ, რაც გიგიმ დაიწყო. ყველაფერს ვიღონებთ, რათა თბილისელებმა ვერ იგრძნონ იმ ენერგიული მერის არყოფნა, რომელიც დედაქალაქს ამდენ ხანს მართავდა. ჩვენს გეგმებში არ შედის ის, რომ თბილისის მოსახლეობას გაუჭირდეს და უკმაყოფილო ადამიანების რიცხვი გაიზარდოს. თბილისის მერია გამართულად იმუშავებს,“** - განაცხადა უგრეხელიძემ.

გიგი უგულავას მხარდამჭერი აქციები გუშინ მერიასთან და თითქმის ყველა გამგეობასთან გაიმართა. მერიისა და გამგეობების თანამშრომლებმა გიგი უგულავასთვის უფლებამოსილების შეჩერება გააპროტესტეს. აქციის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ გიგი უგულავა ხალხის მიერ არის არჩეული და მისი თანამდებობიდან გადაყენება ქვეყნის დემოკრატიას საფრთხეს უქმნის.

თავად გიგი უგულავა კი ამბობს, რომ ბოლომდე იბრძოლებს და თუკი იმ მავნებლობისა და მარაზმის გაუქმებას მიაღწევს, რაც მთავრობამ სასამართლოს ხელით გააკეთა, უფლებამოსილებას კანონით დადგენილი წესით შეიჩერებს.

არასამთავრობო ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ სასამართლოზე ზეწოლის შესახებ გიგი უგულავას მიერ გაკეთებული განცხადება რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს.

**„ზეწოლაში ჩართულია შსს-ს გენინსპექციის ხელმძღვანელი ჯანყარაშვილი, რომელიც პრემიერის ახლო ნათესავია და დღეს რეალურად მინისტრია. ჩართულია ჩხენკელი, რომელიც ასევე გენინსპექციაში იყო და კანცელარიის რეგიონული სამსახურის უფროსად დაინიშნა, ასევე ჩართულია ჩხენკელის ძმა, რომელიც ღარიბაშვილის მთავრობის „ხუხაშვილია“ და ყველა ბიზნესში დაძვრება,“** - აღნიშნა უგულავამ.

არასამთავრობოების აზრით, გიგი უგულავას ზემოთ აღნიშული განცხადება შესაბამისი სუბიექტების მხრიდან დროულ და ადეკვატურ რეაგირებას საჭიროებს.

**„მოცემულ შემთხვევაში, ვფიქრობთ, აუცილებელია, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ დაუყოვნებლივ მიმართოს კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას და დაიწყოს მოსამართლესთან შესაძლო არასათანადო კომუნიკაციის ფაქტის შესწავლა. ამასთან, მნიშვნელოვანია, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, როგორც მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტმა, უზრუნველყოს სასამართლოს თავმჯდომარის მხრიდან ზემოთ ხსენებული ვალდებულების დროული და ჯეროვანი შესრულება. იმ შემთხვევაში, თუ საქმის შესწავლის პროცესში გამოიკვეთება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, საქმე დაუყოვნებლივ უნდა გადაეგზავნოს საგამოძიებო ორგანოებს.**

**მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებამ მიიღოს დროული და დასაბუთებული პასუხი, ჰქონდა თუ არა ადგილი თბილისის მერის განცხადებაში მოყვანილ ფაქტს. ამასთან, თუკი აღნიშნული ფაქტის არსებობა დადასტურდება, მნიშვნელოვანია, შესაბამისი პირების მიმართ პასუხისმგებლობის სათანადო ზომები იქნეს გამოყენებული.**

**აქვე გვსურს, მოვუწოდოთ ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელს, თავი შეიკავონ ისეთი პოლიტიკური განცხადებებისგან, რომლებმაც შესაძლოა, მოსამართლის გადაწყვეტილებაზე არაპირდაპირ გავლენა მოახდინონ. მცდარი და არაკორექტული განცხადებების გავრცელება ცალსახად უარყოფითად აისახება სასამართლო პროცესის მიმდინარეობაზე,“** - ნათქვამია ერთობლივ განცხადებაში, რომელსაც სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო (TI-GEORGIA), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) და საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ავრცელებენ.

ამასთან, არასამთავრობო ორგანიზაციები გიგი უგულავასთვის უფლებამოსილების შეჩერებაზეც ამახვილებენ ყურადღებას და განმარტავენ, რომ რადგან უგულავა პირდაპირი წესით არჩეული მერია, უმჯობესი იქნებოდა, თანამდებობიდან გადაყენების შესახებ შუამდგომლობა მხარეთა დასწრებით განხილულიყო.

**„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად სასამართლო უფლებამოსილია, მხარეთა მონაწილეობის გარეშე განიხილოს მსგავსი შუამდგომლობა. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული საქმისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს, საქმე ეხება პირდაპირი არჩევნებით არჩეული თბილისის მერის თანამდებობას და ამ განჩინების მიღებამდე რამდენიმე საათით ადრე იმავე მოსამართლემ მხარეთა დასწრებით განიხილა პროკურატურის სხვა შაუმდგომლობა, უმჯობესი იქნებოდა, თანამდებობიდან გადაყენების შესახებ შუამდგომლობა ასევე მხარეთა დასწრებით განხილულიყო და დაცვის მხარეს საკუთარი არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობა მისცემოდა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის კონსტიტუციურ პრინციპს ემყარება და მნიშვნელოვანია, თითოეულმა მოსამართლემ ნებისმიერი საქმის განხილვისას ამ პრინციპით იხელმძღვანელოს,“** - ნათქვამია არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებაში.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი გიგი უგულავას საქმეში სასამართლოზე ზეწოლის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს.

კუბლაშვილის თქმით, ზეწოლის შესახებ გაკეთებული განცხადების გარდა, მას ჯერჯერობით არაფერი სმენია.

**„თუკი ასეთი რამ ხდება, ყველამ კარგად იცით, როგორი იყო ჩემი რეაქცია ადრე, როცა ასეთი ჩარევები ხდებოდა და იგივე იქნება ახლაც, თუკი ასეთი რამ დადასტურდება. მე ჯერჯერობით არ მსმენია, გარდა ამ განცხადებისა, რომ რაღაც მოხდა. თუკი დადასტურდება, რომ ასეთი რამ განხორციელდა, მე, პირადად, უშუალოდ ჩემი პასუხისმგებლობით განვახორციელებ ძალიან მკაცრ კონტროლს იმაზე, რომ შემდგომში ასეთი რამ აღარ მოხდეს. არ ვიცი, ვინ დაიწყებს მოკვლევას. მოკვლევის უფლება ვისაც აქვს, მან უნდა დაიწყოს. მთავარია, ჩემამდე მოვიდეს ეს საქმე და მითხრან, რომ დიახ, სწორედ ასე მოხდა,“** - აღნიშნა კუბლაშვილმა.

რაც შეეხება უგულავასთვის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ფორმას, კუბლაშვილის თქმით, სასამართლომ ის გააკეთა, რაც კანონში წერია.

**„ახლა თუ ვინმე იტყვის, რომ მე ან რომელიმე თავმჯდომარეს უნდა გვეთქვა მოსამართლისთვის, რომ ასე კი არა, სხვაგვარად გაეკეთებინა, ძალიან შეცდება, სწორედ ეს არის მოსამართლის დამოუკიდებლობაში ჩარევა. კეთილი უნდა ვინებოთ და პატივი ვცეთ მოსამართლის გადაწყვეტილებას. არ შეიძლება, გადაწყვეტილებაში მოეწონოთ ერთი რაღაც და მეორეზე თქვა, რომ ცუდია. მათ მოსწონთ მხოლოდ ის, რაც მათთვის არის ხელსაყრელი და არ მოსწონთ, რაც ობიექტურია, რადგან შეიძლება, ეს მათთვის ხელსაყრელი არ იყოს,“** - აღნიშნა კუბლაშვილმა.

გიგი უგულავასთვის უფლებამოსილების შეჩერებას აშშ-ს ელჩი რიჩარდ ნორლანდიც გამოეხმაურა.

**„ვიზიარებთ სამოქალაქო საზოგადოების წუხილს არჩეული თანამდებობის პირისთვის უფლებამოსილების შეჩერების გამო და ყურადღებით ვაკვირდებით მოვლენების განვითარებას.**

**კვლავ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, ზედმიწევნით და გამჭვირვალედ უზრუნველყოს კანონით გათვალისწინებული პროცედურები და კანონის უზენაესობა,“** - აღნიშნულია რიჩარდ ნორლანდის განცხადებაში.

საქართველოში ევროკავშირის ელჩ ფლიპ დიმიტროვის განცხადებით, მსგავსი სასამართლო პროცესები ნებისმიერი ქვეყნის იმიჯზე სერიოზულ გავლენას ახდენს.

**„ჩვენ განვაგრძობთ თვალყურის დევნებას სასამართლო პროცესისთვის. როგორც ცნობილია, ასეთი პროცესები ქვეყნის იმიჯზე სერიოზულ გავლენას ახდენს. არ ვიცი, ქართულ კონსტიტუციაში როგორ არის, მაგრამ კონსტიტუციების უმრავლესობა არჩევითი თანამდებობის პირის უფლებამოსილების შესაჩერებლად იმპიჩმენტის პროცედურას ითვალისწინებს,“** - განაცხადა დიმიტროვმა.

საქართველოს ხელისუფლების წევრები კი მიიჩნევენ, რომ სასამართლო დამოუკიდებელია და მოსამართლეს უფლება ჰქონდა, გიგი უგულავასთვის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება მიეღო.

**„როდესაც საუბარია ისეთ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ჩვენს ოპონენტებს მოსწონთ, მაშინ არის საუბარი სასამართლოს დამოუკიდებლობაზეც, ხოლო, მეორე მხრივ, როდესაც გადაწყვეტილება არ მოსწონთ, მაშინ თურმე სასამართლო ზეწოლის ქვეშ არის. პროგრესი სახეზეა, სასამართლო აღარ იღებს ისეთ გადაწყვეტილებებს, როგორსაც გასულ წლებში, როდესაც გადაწყვეტილებების 99,9 პროცენტი პროკურატურის შუამდგომლობის დაკმაყოფილება იყო. დანარჩენი სასამართლოს გადასაწყვეტია,“** - განაცხადა უშიშროების საბჭოს მდივანმა ირინა იმერლიშვილმა.

ევროპულ და ევროატლანტიკურ საკითხებში ინტეგრაციის მინისტრ ალექსი პეტრიაშვილის შეფასებით, სასამართლო დღეს გაცილებით დამოუკიდებელი და თავისუფალია, ვიდრე აქამდე.

მისი თქმით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მსგავსი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი ჰქონდა, შესაბამისად უგულავას უფლებამოსილება შეუჩერა.

**„რადგან სასამართლომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ამის საფუძველი ჰქონდა,“** - აღნიშნა პეტრიაშვილმა.

სახელმწიფო მინისტრის თქმით, პოლიტიკური მოტივაციის შესახებ განცხადებები არასერიოზულია, ვინაიდან ფაქტებით არ არის გამყარებული.

**„პოლიტიკური ველის გაწმენდაზე საუბარიც არასერიოზულია, ვინაიდან საარჩევნო გარემო აბსოლუტურად თავისუფალია,“** - აღნიშნა პეტრიაშვილმა.

## შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში ამერიკა ირანს სანქციებს კვლავ გაუმკაცრებს

ამერიკა და მისი მოკავშირეები გზას მოძებნიან, ირანს მკაცრი ეკონომიკური სანქციები ხელახლა დაუწესონ, თუ აღმოჩნდება, რომ ეს ქვეყანა შეთანხმებას არღვევს და ბირთვული ბომბის შექმნაზე მუშაობს, - ამის შესახებ ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას მრჩეველმა უსაფრთხოების საკითხებში სუზან რაისმა განაცხადა. CBS-სთვის მიცემულ ინტერვიუში რაისმა აღნიშნა, რომ შერბილებული ეკონომიკური სანქციების კვლავ გამკაცრება რთული არ იქნება. ცნობისათვის - ნოემბერში ე.წ „ექვსეული“ და ირანი შეთანხმდნენ, რომ მომდევნო 6 თვის განმავლობაში ირანი თავის ბირთვულ პროგრამაზე მუშაობას შეწყვეტს, სანაცვლოდ კი დასავლეთმა მას მკაცრი ეკონომიკური სანქციები შეუმსუბუქა. აღნიშნული სანქციების გამო ობამას ადმინისტრაციას და კონგრესს შორის უთანხმოებაა - ზოგიერთი კონგრესმენი კვლავ მოითხოვს, რომ ირანს მიმართ დაწესებული სანქციები გამკაცრდეს.

## ისრაელში ავტობუსში ბომბი აფეთქდა

„როიტერის“ ინფორმაციით, კვირას თელავივთან ახლოს ავტობუსში ბომბი აფეთქდა, რაშიც ისრაელის ხელისუფლება პალესტინელ შეირაღებულ მებრძოლებს სდებს ბრალს. პოლიციის განცხადებით, მგზავრების ევაკუირება მოხერხდა და აფეთქების შედეგად არავინ დაშავებულა. ამ დრომდე აფეთქებაზე პასუხისმგებლობა არც ერთ დაჯგუფებას აუღია. თუმცა, ისლამისტური დაჯგუფება „ჰამასის“ წარმომადგენელმა ფავზი ბარჰოუმმა აფეთქებას „გმირული საქციელი“ უწოდა. „ავტობუსში 12 მგზავრი იმყოფებოდა. როდესაც საეჭვო ობიექტის შესახებ შეატყობინეს, მძღოლმა ავტობუსი დაუყოვნებლივ გააჩერა. ჩანთაში არსებული ბომბი უკანა ადგილებზე იყო მოთავსებული. მძღოლმა მგზავრებს ავტობუსის სასწრაფოდ დატოვებისკენ მოუწოდა,“ - განაცხადა იმ კომპანიის წარმომადგენელმა, რომელსაც ავტობუსი ეკუთვნის. „ჩვენ ვადასტურებთ, რომ ეს ტერორისტული თავდასხმა იყო,“ - განაცხადა ისრაელის პოლიციის წარმომადგენელმა მიკი როზენფელდმა.

## სნოუდენი გერმანიაში პოლიტიკურ თავშესაფარზე უარს არ იტყვის

ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილმა თანამშრომელმა ედუარდ სნოუდენმა ბრაზილიური ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში რუსეთს დროებითი თავშესაფრისთვის მადლობა გადაუხადა. ინტერვიუში სნოუდენმა აღნიშნა, რომ ამერიკის სადაზვერვო სამსახურების საიდუმლო პროგრამების გამომჟღავნებას არ ნანობს. მისი თქმით, მოსკოვში რუსული ენის შესწავლით არის დაკავებული, ასევე ყურადღებით ადევნებს თვალს მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებს. სნოუდენმა აღნიშნა, რომ მისი მომავალი ჯერ გაურკვეველია. მისი თქმით, მოხარული იქნებოდა, ბრაზილიაში პოლიტიკური თავშესაფარი მიელო, თუმცა როგორც ბრაზილიის დიპლომატიური უწყება აცხადებს, სნოუდენს მათთვის თავშესაფრის მინიჭების ოფიციალური თხოვნით არ მიუმართავს. გარდა ამისა, როგორც გერმანული გამოცემა „შტერნი“ წერს, სნოუდენი გერმანიისგან თავშესაფრის მიღებაზეც არ იტყვის უარს: „გერმანიას დიდ პატივს ვცემ. გერმანიის მთავრობაში არავის სჯერა, რომ თავშესაფრის მინიჭების შემთხვევაში ამერიკა ამ ქვეყანას სანქციებს დაუწესებს. ეს ამერიკას უფრო დიდ ზიანს მოუტანს, ვიდრე გერმანიას,“ - აღნიშნავს სნოუდენი.

## „ალ ქაიდა“ ბოდიშს იხდის

„სი-ენ-ენ“-ის ცნობით, კვირას „არაბეთის ნახევარკუნძულის ალ-ქაიდამ“ ვიდეო გაავრცელა, სადაც დაჯგუფების ლიდერები სანაში საავადმყოფოზე იერიშის გამო ბოდიშს იხდიან. 5 დეკემბერს იემენის დედაქალაქ სანაში საავადმყოფოზე თავდასხმას ათობით ადამიანი ემსხვერპლა. გავრცელებულ ვიდეომიმართვაში დაჯგუფების ლიდერი ქასიმ ალ-რაიმი აღნიშნავს, რომ თავდასხმა საავადმყოფოს ან მეჩეთის წინააღმდეგ არ იყო მიმართული, მათი სამიზნე იემენის თავდაცვის უწყების შენობა იყო. თუმცა, შეირაღებულ მებრძოლებს შენობა აერიათ და საავადმყოფოზე მიიტანეს იერიში: „დანაშაულს ვაღიარებთ. სამძიმარს ვუცხადებთ ყველა დაღუპულის ოჯახს. ჩვენ არც ერთი ადამიანის სიკვდილი არ გვინდა. ეს ჩვენს რელიგიასა და მორალს არ შეეფერება,“ - აღნიშნავს დაჯგუფების ლიდერი ვიდეომიმართვაში და დასძენს, რომ თავდასხმის მსხვერპლთა ოჯახებს ფინანსურად დაეხმარებიან. ქასიმ ალ-რაიმმა მიმართვაში ასევე აღნიშნა, რომ ისინი გააგრძელებენ თავდასხმებს იმ დაწესებულებებზე, რომლებსაც „ამერიკულ უპილოტოებთან“ აქვთ კავშირი. როგორც „სი-ენ-ენ“-ის ეროვნული უსაფრთხოების ანალიტიკოსი პიტერ ბერგენი აღნიშნავს, ეს უჩვეულო გამოსვლაა „ალ ქაიდას“ მხრიდან: „ალ ქაიდას ლიდერები მიხვდნენ, რომ თუ ისინი საკუთარ თავს მუსლიმების დამცველებად მიიჩნევენ, მუსლიმი მოქალაქეების ხოცვა უნდა შეწყვიტონ,“ - აღნიშნავს ბერგერი.

***მოამზადა თამთა კახაძემ***

# ოფიციალური კიევი ევრაზიულ კავშირს „აკვირდება“

პირველი გვერდიდან



პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა ხელი მოაწერა დაკავებული აქტივისტების ამნისტიას, დროებით დაიშალა კიევის ცენტრში ხელისუფლების მომხრეთა აქციაც, რომელსაც მედიამ მოსწრებულად უწოდა „ანტიმაიდანი“. თუმცა ოფიციალური კიევი ასევე „დაპირებისამებრ“ ცდილობს რუსეთთან და ევრაზიულ კავშირთან ურთიერთობის დათბობასაც. დღეს მოსკოვში, უმაღლესი ევრაზიული ეკონომიკური საბჭოს მუშაობაში დამკვირვებლის სტატუსით უკრაინის პრემიერ-მინისტრი ნიკოლაი აზაროვიც მიიღებს მონაწილეობას.

უკვე თვეზე მეტია, კიევის ცენტრში უკრაინის ევროპული კურსის მხარდამჭერთა უვადო აქცია გრძელდება. კვირას, დემონსტრანტების წინაშე „სახალხო ვეჩეზე“ გამოსვლისას ნაციონალისტური „თავისუფლების“ ლიდერმა ოლეგ ტიაგნიბოკმა „სახალხო გაერთიანება მაიდანის“ შექმნის შესახებ გააკეთა განცხდება. მან შეკრებილებს კვლავ დამოუკიდებლობის მოედანზე დგომისა და ადმინისტრაციული შენობების ბლოკირების გაგრძელებისკენ მოუწოდა. „ხელისუფლებას ისეთ ჯოჯოხეთს მოვუწყობთ, რომ ისინი ხალხის სურვილის გათვალისწინების აუცილებლობას მიხვდნენ,“ - აღნიშნა ტიაგნიბოკმა.

ახალი გაერთიანების თანათავმჯდომარეები იქნებიან ოპოზიციის ლიდერები: ოლეგ ტიაგნიბოკი, ვიტალი კლიჩკო („უდარი“), არსენი იაცენიუკი („ბატკივშჩინა“) და იური ლუცენკო. ასევე, კიევ-მოგილიანსკის აკადემიის რექტორი სერგეი კვიტი, მომღერალი რუსლანა ლიჟიჩკო და ყოფილი პრემიერი იულია ტიმოშენკო. გაერთიანების საბჭოში ასევე შევიდნენ ჟურნალისტები ვიტალი პორტნიკოვი და სერგეი რახმანინი, მომღერალი ალექსანდრ პოლოჟინსკი, პოლიტოლოგი ალექსეი გარანი, ბიზნესმენი-მილიარდერი პიოტრ პოროშენკო და სხვა ცნობილი საზოგადო მოღვაწეები. ოლეგ ტაგნიბოკმა დამსწრეებს მათ დასახლებულ პუნქტებში ამ სახალხო გაერთიანების ადგილობრივი ორგანიზაციების შექმნისკენ მოუწოდა.

იქვე ახლოს, „მარიინსკი პარკში“ მიმდინარე პროსამთავრობო აქცია კი დაიშალა - ყოველ შემთხვევაში, დროებით. თვით „რეგიონების პარტიის“ განცხადებით, კვირის მიტინგზე იქ 20 ათასი ადამიანი შეიკრიბა. დამოუკიდებელი მედია ამ ციფრსაც ცოტა ეჭვქვეშ აყენებს. ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მაგალითად, დეპუტატმა ანა გერმანმა (იანუკოვიჩთან ერთ-ერთი ყველაზე დაახლოებული პირი) მომხრეების წინაშე სიტყვით გამოსვლისას „ევრომაიდანზე“ შეკრებილებს უმუშევრები, უსაქმურები და წარუმატებლები უწოდა. საკუთარ მომხრეებზე კი თქვა, რომ „მარიინსკი პარკში“ ის ადმიანები დგანან, რომლებსაც შეუძლიათ, სახელმწიფოზე პასუხისმგებლობა აიღონ. მათ საქმე აქვთ გასაკეთებელი, მათ შორის ევრომაიდანის მონაწილეებისთვის სამუშაო ადგილების შესაქმნელად. ამ „ნატაციების“ შემდეგ ხელისუფლების მომხრეთა აქცია გაურკვეველი ვადით დაიშალა.

გუშინვე პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა ხელი მოაწერა რადას მიერ წინა კვირაში მიღებულ კანონს ამნისტიის შესახებ, რომლის თანახმადაც, სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებიან ბოლო ერთი თვის განმავლობაში ევრომაიდანზე და ოპოზიციის სხვა აქციებზე დაკავებული აქტივისტები. უკვე მსჯავრდებულებს კი ნასამართლეობა ეხსნებათ.

რუსეთთან გაზის კონტრაქტების მოწესრიგება და ტვირთბრუნვის სხვა საკითხების მოგვარება უკრაინის ხელისუფლების პრიორიტეტად რჩება. ვიცე-პრემიერი იური ბოიკო სატელევიზიო ინტერვიუში იმ ექსპერტების მოსაზრებას დაეთანხმა, რომლებიც აღნიშნავენ, რომ რუსეთმა გაზის ფასი უკრაინაში არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე შეცვალა. ბოიკომ აღნიშნა, რომ გაზზე ფასის შემცირების შესახებ საუბარი გაცილებით ადრე დაიწყო, თუმცა „ტექნიკური სამუშაოები ბოლო ერთი თვის განმავლობაში შესრულდა.“ ბოიკოს თქმით, ამ შეთანხმების შემდეგ უთანხმოება დასრულდა: „იმედი მაქვს, უკრაინასა და რუსეთს შორის ბუნებრივი აირის გარშემო კონფლიქტური საკითხები 2019 წლამდე - გაზის კონტრაქტის მოქმედების ვადის ამოწურვამდე მოხსნილია.“

რუსეთი კი უკრაინას ისევ ეპატიჟება საბაჟო კავშირში. კვირას ასეთი განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა გააკეთა, თუმცა ისიც დასძინა, რომ ეს შეიძლება, იმ შემთხვევაში მოხდეს, თუ ასეთი იქნება უკრაინელი ხალხის ნება. დღეს, სამშაბათს, დაგეგმილია უმაღლესი ევრაზიული საბჭოს სხდომა რუსეთის, ყაზახეთის და ბელარუსის პრეზიდენტების: ვლადიმირ პუტინის, ნურსულთან ნაზარბაევისა და ალექსანდრ ლუკაშენკოს მონაწილეობით. წინასწარი ინფორმაციით, რომელიც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინისგან მომდინარეობდა, სხდომაში მონაწილეობა უნდა მიელო უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩსაც. ეს ინფორმაცია უკრაინაში გუშინ საღამომდე არავის დაუდასტურებია, მოგვიანებით კი გამოცხადდა, რომ მოსკოვში ამ სამიტს დამკვირვებლის სტატუსით პრემიერ-მინისტრი ნიკოლაი აზაროვი დაესწრება.

# სირიაში ბრძოლები გამძაფრდა

პირველი გვერდიდან

საჰაერო იერიშს შეეწირა ავტობუსი შიგ მსხდომი მგზავრებიანად. ამას გარდა, დაზიანდა ათამდე ავტომობილი და უახლოესი შენობა. არმიის ვერტმფრენებმა ტროტილით სავსე კასრები ჰანანოს დასახლებულ რაიონში ჩაყარეს. ოპოზიციის აქტივისტების ცნობით, დაღუპულებს შორის 6 ბავშვი და 19 მოზრდილია. ტელეარხ „ალ-ჯაზირას“ ინფორმაციით კი, იერიშის შედეგად 70 ადამიანი დაიღუპა. ბოლო კვირების განმავლობაში ამბოხებულთა პოზიციების და კონტროლირებადი ზონის დაბომბვას მხოლოდ ალეპოში 200 ადამიანზე მეტი შეეწირა. ამ, ფაქტობრივად, კუსტარული მეთოდებით დამზადებულ „კასრის ბომბებს“ დიდი სივრცის დაზიანება შეუძლია, რადგან მათში დიდი რაოდენობით არის ასაფეთქებელი ნივთიერება. წინა კვირის ბოლოს, პარასკევს, ამბოხებულებმა ალეპოში ხელში ჩაიგდეს დანგრეული საავადმყოფოს შენობა, რომელიც სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილზე მდებარეობს. ასადის არმია „ჩრდილოეთის დედაქალაქის“ ათამდე გარეუბანს ბომბავს.

სირიის სახელმწიფო ტელეარხების ინფორმაციით, პროვინცია ჰომსში დაწყებითი სკოლის შენობის წინ დანაღმული მანქანა აფეთქდა. იქ, სულ ცოტა, 6 ბავშვი და 2 ზრდასრული ადამიანი დაიღუპა და 12 დაიჭრა. სხვა მონაცემებით, დაღუპულების რაოდენობა 20 კაცს აჭარბებს. ეს შიიტებით დასახლებულ რაიონში მოხდა, ამბოხებულების ძირითად ნაწილს კი სუნიტები შეადგენენ.

სირიის სამხრეთში, დერააში, ნაღმტყორცნებით დაბომბვის ზონაში მოხვდა ქალაქის ცენტრში მდებარე ძველი ეკლესია. ამას 8 ადამიანი შეეწირა, მათ შორის სამი ბავშვია. კიდევ ოთხი ადამიანი დაიღუპა ადმინისტრაციულ შენობაში, რომელშიც ნაღმი შევარდა. დედაქალაქ დამასკოში ნაღმი ქრისტიანულ კვარტალ კასააში ბანკის შენობასთან დაეცა. იქ ერთი თანამშრომელი დაიღუპა და ორი დაიჭრა. ასევე დამასკოსთან მთავრობის ერთგულმა შენაერთებმა ამბოხებულთა ორი თუ სამი რაზმი გაანადგურეს, რომლებშიც ათობით დაქირავებული იბრძოდა საუდის არაბეთიდან, ეგვიპტიდან და იორდანიიდან. არტილერია ბომბავს ამბოხებულთა პოზიციებს ქალაქების დუმის, ჰარასტის, ჯუბარის და დარაიას მისადგომებთან. ავიაციამ ამბოხებულებს მთიანი კურორტის ზაბადანის მიდამოებში მიაყენა დარტყმა.

ქვეყანაში დაპირისპირება 2011 წლის მარტში დაიწყო, რასაც, გაეროს მონაცემებით, 100 000-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა, სირიის 2,3 მილიონი მოქალაქე კი იძულებული გახდა, ქვეყანა დაეტოვებინა. დაღუპულების შესახებ მონაცემები ძნელად ექვემდებარება შემოწმებას და შედარებით დაზუსტებული რიცხვი 100 ათასი გაეროს ანგარიშებში უკვე რამდენიმე თვეა, ფიგურირებს. რეალურად ალბათ მართალია იმ დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციების ვარაუდი, რომლებიც აღნიშნავენ, რომ 130-140 ათასამდე ადამიანია დაღუპული.

ამერიკისა და რუსეთის ორგანიზებით სირიის შესახებ სამშვიდობო კონფერენცია ე.წ „ჟენევა 2“ 2014 წლის 22 იანვრისთვის არის დაგეგმილი, თუმცა ამ დრომდე ბოლომდე არ არის შეთანხმებული კონფერენციაში მონაწილეთა სია.

სირიაში მებრძოლი უცხოელი დაქირავებულები თუ მოხალისეები უკვე არა მხოლოდ ამ სახელმწიფოში ქმნიან პრობლემებს. სპეცსამსახურები შიშობენ, რომ ბრძოლაში გამოწრთობილი „ჯიჰადისტები“ შემდგომში გადავლენ ტერაქტების მოწყობაზე საკუთარ ქვეყნებშიც. სხვადასხვა შეფასებებით, სირიაში იბრძვის 3,3 ათასიდან 11 ათასამდე ადამიანი 70 ქვეყნიდან, მათ შორის ევროკავშიის სახელმწიფოებიდან. ამის გამო დიდმა ბრიტანეთმა დაიწყო მოქალაქეობის ჩამორთმევა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც სირიაში გაემგზავრნენ საბრძოლველად და, ძირითადად, ტერორისტულ დაჯგუფებებთან თანამშრომლობენ. ბრიტანეთის კანონმდებლობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ამის გაკეთება შეუძლია, თუ ადამიანი საზოგადოებისთვის საფრთხეს წარმოადგენს. ცხადია, ეს ორმაგი მოქალაქეობის მქონე, უმთავრესად იმავე არაბული სახელმწიფოებიდან ბრიტანეთში ჩასული ადამიანები არიან.

ამასობაში კი დაგეგმილი გრაფიკით მიმდინარეობს სამუშაოები სირიის ქიმიური არსენალის გასანადგურებლად. რუსეთმა იქ უკვე ჩაიტანა სპეციალური ტექნიკა მომწამვლელი ნივთიერებების განადგურებისა და ტანსპორტირებისთვის. ამის შესახებ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს უკვე მოახსენა. მოხსენებაში ნათქვამია, რომ „სამი დღის განმავლობაში, 18-20 დეკემბერს, სირიის ქალაქ ლატაკიაში საჰაერო ტრანსპორტით „კამაზის“ მარკის 50 სატვირთო ავტომობილი, 25 დაჯავშნული „ურალი“ და კიდევ სხვა აღჭურვილობა გადაზიდეს.“

სირიის მთავრობა რამდენიმე თვის წინ ქვეყნაში არსებული ქიმიური იარაღის განადგურებას დათანხმდა. ამას წინ უძღოდა 21 აგვისტოს მომხდარი თავდასხმა - ამ დღეს დამასკოსთან ახლოს ზარინის გაზის გამოყენებას 1400 ადამიანზე მეტი ემსხვერპლა. ამ თავდასხმის შემდეგ ამერიკამ საუბარი დაიწყო სირიაზე დარტყმის განხორციელების შესახებ. 21 აგვისტოს თავდასხმაში მთავრობა და ოპოზიცია ერთმანეთს ადანაშაულებენ. გაეროს ექსპერტებმა უკვე წარმოადგინეს მოხსენება, რომელშიც ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტი დადასტურებულია, თუმცა დასკვნაში აღნიშნული არ არის, თუ რომელმა მხარემ გამოიყენა ეს იარაღი.

მომწამვლელი ნივთიერებები 2014 წლის ივნისის ბოლომდე უნდა განადგურდეს - ძირითადად, ღია ზღვაში სპეციალურ ამერიკულ გემზე. ამ გეგმის შესახებ წინა სტატიებში უკვე ვწერდით.

# გენდერული სტერეოტიპები არ შეცვლილა

## რატომ არის კაცების ინტერესში გენდერული თანასწორობა




*24 საათი გაერო-ს განვითარების პროგრამის დემოკრატიული მმართველობის მიმართულების ხელმძღვანელს ნათია ნაცვლიშვილს ესაუბრა.*

**- რატომ არის მნიშვნელოვანი გენდერული თანასწორობა და ბალანსი?**

- თანასწორობა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, თუმცა ამასთანავე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა განვითარებული საზოგადოების ფორმირების საშუალებაა. გენდერულ საკითხებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ვაწყდებით და ვხედავთ, რომ არსებული უთანასწორობა ხელს უშლის შემდგომ განვითარებას. მაგალითისთვის განვიხილოთ ეკონომიკა. ქალები საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს წარმოადგენენ, ეს მნიშვნელოვანი სამუშაო ძალაა, თუმცა ეკონომიკურად აქტიური ქალების რაოდენობა 12 პროცენტით ჩამორჩება კაცების რაოდენობას. საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოში უმაღლეს განათლებას უფრო მეტი ქალი იღებს, ვიდრე კაცი, მაგრამ ეს ქალები შრომის ბაზარზე ნაკლებად ჩანან. ანუ ქალების განათლებაში ჩადებული ინვესტიცია ნაკლებად ხმარდება ქვეყნის განვითარებას. დადასტურებულია, რომ ქალების ეკონომიკური გაძლიერება პირდაპირ აისახება ოჯახის კეთილდღეობაზე, ბავშვების ჯანმრთელობასა და განათლებაზე. თუ ამ საკითხს ბიზნესის ჭრილში განვიხილავთ, მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ ის კომპანიები, რომელთა მმართველ რგოლში ქალების რაოდენობა 30 პროცენტს მაინც აღწევს, უფრო მომგებიანი და წარმატებულია. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა პირდაპირ კავშირშია თითოეული ოჯახისა და ზოგადად საზოგადოების კეთილდღეობასთან.

**- პრობლემურია თუ არა გენდერული თანასწორობა ქართული საზოგადოებისთვის?**

- რამდენიმე კვირის წინ საზოგადოებას წარვუდგინეთ ჩვენი კვლევის შედეგები, რომელშიც შესწავლილია „საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში“. აღნიშნული კვლევის შედეგების წინა წლებში ჩატარებულ ანალოგიურ კვლევებთან შედარება ცხადყოფს, რომ გენდერული თანასწორობის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება თითქმის არ შეცვლილა. საქართველო კვლავაც პატრიარქალურ ქვეყნად რჩება, სადაც კაცი გადაწყვეტილების მთავარ მიმღებად, ოჯახის მარჩენლად და უფროსად მოიაზრება. მოსახლეობის მხოლოდ 11 პროცენტი მიიჩნევს, რომ ოჯახის რჩენაში ქალმა და კაცმა თანაბარი წვლილი უნდა შეიტანონ. 88 პროცენტი ამ ფუნქციას მხოლოდ კაცს აკისრებს. გამოკითხული კაცების მხოლოდ 37 პროცენტი ემხრობა მოსაზრებას, რომ ოჯახში გადაწყვეტილებას ქალი და კაცი თანაბრად უნდა იღებდნენ. თუ ოჯახში ერთი შვილია, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ურჩევნია, რომ ეს იყოს ბიჭი. ვაჟს ასევე ენიჭება უპირატესობა განათლებისა და საკუთრების უფლების საკითხებშიც. იგივე მდგომარეობაა პოლიტიკასა და ბიზნესში. გამოკითხულთა 54 პროცენტი მიიჩნევს, რომ პოლიტიკა „ბინძური საქმეა“ და ამიტომ ქალს არ შეეფერება. შესაბამისად, ქალ კანდიდატებს ამომრჩევლის მხარდაჭერის ნაკლები შანსი აქვთ. მოსახლეობის 68 პროცენტს საპრეზიდენტო კანდიდატად კაცი უფრო წარმოუდგენია, ვიდრე ქალი. კაცს ენიჭება უპირატესობა ბიზნესშიც, განსაკუთრებით მაღალ თანამდებობებზე. ამ მოსაზრებას გამოკითხულთა 57 პროცენტი ადასტურებს.

კვლევამ ასევე გამოავლინა ის ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის გენდერულ თანასწორობას საქართველოში. ოჯახებში არსებული სტერეოტიპული გენდერული როლები ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანია. გენდერული როლები მკვეთრად განსაზღვრავს ქალისა და კაცის თვითრეალიზაციის სფეროებსა და მოვალეობებს. ქალის როლი დაქვემდებარებულია და შემოიფარგლება საოჯახო საქმით, ხოლო კაცი მარჩენალია და ოჯახის უფროსი. ეს სტერეოტიპები იმდენად ძლიერი და ფესვგამდგარია, რომ თითქმის უცვლელად გადაეცემა თაობიდან თაობას. კვლევამ გვაჩვენა, რომ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების დამოკიდებულებებში განსხვავება საკმაოდ უმნიშვნელოა.

ყოველივე ზემოთ თქმული ცხადყოფს, რომ საქართველოში გენდერული თანასწორობა კვლავაც პრობლემაა და ამ მხრივ აქტიური მუშაობაა საჭირო. უფრო მეტიც, გენდერული უთანასწორობა მძიმე ტვირთად აწევს როგორც ქალებს, ასევე კაცებს. გენდერული სტერეოტიპების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ ეტაპებზე ქალს დაქვემდებარებული პოზიცია უკავია, ხოლო კაცების მიმართ ზომაზე მეტი მოლოდინია.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წლებში საქართველომ გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად კანონმდებლობისა და პოლიტიკის დონეზე წარმატებული ნაბიჯები გადადგა. თუმცა საზოგადოებრივი დამოკიდებულებების ფუნდამენტურ ცვლილებებს მეტი დრო და ძალისხმევა სჭირდება.

**- თქვენი აზრით, გენდერული უთანასწორობა აზარალებს როგორც ქალებს, ასევე კაცებსაც?**

- რა თქმა უნდა, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც ქალებისთვის, ასევე კაცებისთვის. როგორც წესი, კაცები ამ თემას ირონიით უყურებენ, თუმცა გენდერული სტერეოტიპები მათთვისაც წამგებიანია. მაგალითად, ის უზომო პასუხისმგებლობა, თუნდაც ოჯახის ერთპიროვნულად რჩენის მოლოდინი, რომელსაც საზოგადოება კაცს აკისრებს, ხშირად სტრესის საფუძველი ხდება. სტერეოტიპი არჩევანის თავისუფლებას ართმევს არა მარტო ქალს, არამედ კაცსაც. მაგალითად, წინასწარ განსაზღვრული გენდერული როლი მამაკაცს არ აძლევს შესაძლებლობას, უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს შვილების აღზრდას ან აქტიურად ჩაებას ოჯახის საქმეებში სურვილის შემთხვევაშიც კი. პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გადანაწილებას გაცილებით კარგი შედეგი მოაქვს ყველასთვის. ამიტომ გენდერული თანასწორობა კაცების ინტერესის საგანიც უნდა იყოს.

**- რა პროექტებს ახორციელებს გაერო-ს განვითარების პროგრამა გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად?**

- გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად გაერო, შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, ერთობლივ პროგრამას ახორციელებს, სადაც სხვადასხვა კუთხით ჩართულია გაეროს სამი სააგენტო, მათ შორის, გაეროს განვითარების პროგრამა, რომელიც ქალთა პოლიტიკური და ეკონომიკური ჩართულობის გაძლიერებაზე მუშაობს.

ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან და საკრებულოს წევრ ქალებთან ყველა მუნიციპალიტეტში. ასევე ვმუშაობთ მეწარმე ქალბატონებთან საქართველოს ბევრ ქალაქსა და სოფელში. ვცდილობთ, მათთვის ბიზნესგანათლება უფრო ხელმისაწვდომი გავხადოთ და საკუთარი საქმის დაწყებაში ხელი შევუწყოთ.

**- გაეროს განვითარების პროგრამის ინიციატივით მიმდინარეობს საკომუნიკაციო კამპანია „შეიცვალე აზრი“. თბილისის ქუჩებში უკვე ვიხილეთ ყველაზე გავრცელებული გენდერული კლიშეების ამსახველი ნახატები, ე.წ. სტენსილები, რომლებმაც დიდი სჯა-ბაასი გამოიწვია. რა არის ამ კამპანიის მიზანი და რა შედეგებს ელოდებით?**

- საზოგადოებრივი დამოკიდებულებების ცვლილებას დიდი დრო სჭირდება, თუმცა ამ ცვლილების დასაწყებად საჭიროა, საზოგადოებამ პრობლემა აღიაროს და ამ თემაზე ღიად იმსჯელოს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ არსებული გენდერული სტერეოტიპები პირდაპირ მიგვეწოდებინა საზოგადოებისთვის და ამით დისკუსია გამოგვეწვია. მარტივი და ყველასთვის გასაგები ტრაფარეტული ნახატები ანუ სტენსილები სწორედ ის მეთოდია, რომელიც პირდაპირ მიგვიყვანდა საზოგადოების ყველა ჯგუფთან. ეს ინტერაქტიული კამპანიაა, მასში მონაწილეობის მიღება და საკუთარი აზრის ღიად გამოხატვა ყველას შეუძლია. ჩვენს „ფეისბუქის“ გვერდს უკვე 19 000-ზე მეტი მოწონება აქვს და 10 000-მდე ადამიანი აქტიურად არის ჩართული დისკუსიაში. ეს მხოლოდ დასაწყისია. კამპანია გაგრძელდება და საქართველოს მოსახლეობას კიდევ ბევრ საინტერესო თემას, ინფორმაციას და ღონისძიებას შესთავაზებს. მოხარულები ვართ, რომ კამპანია ასეთი რეზონანსულია და გვჯერა, რომ დისკუსიის დაწყება სტერეოტიპების ნგრევის დასაწყისიც იქნება.

## გიორგი მარგველაშვილი - საქართველო არ იქნება მეზობელი, რომელიც პრობლემებს შექმნის

საქართველო არ იქნება მეზობელი, რომელიც პრობლემებს შექმნის, თუმცა დაიცავს თავის ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ ფარგლებში და ამას მოითხოვს ყველა მეზობლისგან, - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში აცხადებს.

პრეზიდენტის შეფასებით, რუსეთ-საქართველოს მომავალი, ისევე როგორც ისტორიულად იყო, რთულია.

„თუმცა, ის პოლიტიკა, რომელსაც ახლა ვატარებთ, ვფიქრობ, სწორი მიმართულებით ვითარდება - ანუ ჩვენ გვაქვს რუსეთთან ურთიერთობის ორი ფორმატი: ჟენევა და პრაღა. პრაღა, ძირითადად, ორიენტირებულია კულტურულ და ეკონომიკურ კავშირებზე, რაც თავისთავად პოზიტიურია. ამ ორი ფორმატის განცალკევება სწორი ნაბიჯი იყო. ჩვენ ვხედავთ, რომ ნელ-ნელა რუსეთის ბაზარზე გადის ღვინო, მინერალური წყალი, სოფლის მეურნეობის პროდუქტები, რაც დადებით ფონს ქმნის და ამ ფონმა ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა შექმნას შესაძლებლობები, რათა პოლიტიკურ საკითხებზე ვილაპარაკოთ. პოლიტიკურ საკითხებს რომ დავუბრუნდეთ, ნებისმიერ ომს, რომელიც წარმოებს ორ სახელმწიფოს შორის, ლოგიკა უნდა ჰქონდეს. წამიკითხავს ისტორიის სახელმძღვანელოში, რომ თემური წყობილების დროს გასართობად ომობდნენ. მას შემდეგ, რაც ადამიანები ცივილიზაციის უფრო მაღალ საფეხურზე გადავიდნენ, ომს კონკრეტული პოლიტიკური ან ეკონომიკური ინტერესებისთვის აწარმოებდნენ,“ - აცხადებს პრეზიდენტი.

გიორგი მარგველაშვილის შეფასებით, ერთი ქვეყნის მიერ მეორის დაპყრობას თავისი ლოგიკა უნდა ჰქონდეს.

საქართველოს პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ამ თვალსაზრისით 2008 წლის ომი უპრეცედენტო იყო, რომლის შედეგადაც რუსეთის საერთაშორისო იმიჯი შეილახა.

„არც ჩვენი აფხაზი და ოსი თანამემამულეების ყოფა გაუმჯობესებულა, ვინც მავთულხლართებს მიღმა დარჩა. საქართველოსთვის ეს იყო ტრაგიკული და მძიმე დარტყმა. რეალურად რომ შევხედოთ, ამ ვითარების შენარჩუნება არავის უნდა აძლევდეს ხელს. საქართველოს დემონიზაცია ვეღარ მოხდება, ვერ მოხდება საქართველოს წარმოჩინება, როგორც აგრესორისა, რადგან საქართველოს მთავრობა ძალიან რაციონალურ, მშვიდ პოლიტიკას ატარებს. შესაბამისად, არსებულ ვითარებას მშვიდად თუ შევხედავთ, რუსეთის ფედერაციას უნდა აძლევდეს ხელს ერთიანი, ეკონომიკურად ძლიერი, სტაბილური მეზობელი, რომელიც, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მეზობელი ქვეყნის, მის ინტერესებსაც გაითვალისწინებს. შესაბამისად, ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ნაბიჯები უნდა გადაიდგას ვითარების დეესკალაციისკენ, სიტუაციის დამშვიდებისა და გარემოს დაწყნარებისკენ,“ - აცხადებს პრეზიდენტი და აღნიშნავს, რომ ლოგიკური სცენარი ასეთია.

გიორგი მარგველაშვილის შეფასებით, პოლიტიკური ლიდერები ხშირად იქცევიან ალოგიკურად, თუმცა პრეზიდენტი მათზე კონკრეტულად არ საუბრობს.

„ერთია, გარკვეული მოქმედებები და მეორე, ამ დე ფაქტო ვითარებიდან ყველა ჩვენგანის გამოსავალი. ჩვენ ნათლად ვაჩვენეთ მსოფლიოს ჩვენი პოლიტიკური ვექტორი. საქართველო არ იქნება მეზობელი, რომელიც პრობლემებს შექმნის, თუმცა დაიცავს თავის ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ ფარგლებში და ამას მოითხოვს ყველა მეზობლისგან. ამ გზიდან ვერ გადაგვიყვანენ,“ - აღნიშნავს გიორგი მარგველაშვილი.

საქართველოს პრეზიდენტთან ექსკლუზიური ინტერვიუ გაზეთ „კვირის პალიტრის“ გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა.

## გია არაბიძე: არამარტო ხუდონი, არამედ სხვა ჰიდროელექტროსადგურებიც ასაშენებლია

„მე მგონი სურამის ციხე არ შენდებოდა ისეთი ხანგრძლივობით და არ შექმნილა იმგვარი პრობლემები, როგორც ხუდონთან დაკავშირებული საკითხებია. თითქმის 30 წელიწადია მიდის საუბარი - აშენდეს თუ არ აშენდეს! ეს არის ყოველწლიური თემა ხან პიკში და ხან დაბალი პიკით. რასაკვირველია, საკითხი ძალიან მტკივნეულია და მოითხოვს ძალიან სერიოზულ შესწავლას და სერიოზულ არგუმენტაციას,“ - აცხადებს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და კომუნიკაციების ფაკულტეტის დეკანი გია არაბიძე.

მისი თქმით: **„ძალიან მოკლედ, რა სიტუაცია გვაქვს დღეს ენერგეტიკაში: ის რომ შუქი გვაქვს, ეს არ არის ენეტრგეტიკა. ენერგეტიკას კიდევ სხვა დანიშნულოება აქვს. რა თქმა უნდა ვეთანხმები მთავრობის გადაწყვეტილებას, რომ რაც შეიძლება სწრაფად განვითარდეს ეკონომიკა. ჩვენი გამოთვლებით, 2025 წლისათვის ჩვენი მთლიანი შიდა პროდუქტი თუ არ გახდა 50-60 მილიარდი აშშ დოლარის ექვივალენტი, ისე ჩვენს ქვეყანას წინსვლა არ უწერია. ჩვენს მოსახლეობას ერთ სულ მოსახლეზე მინიმუმ 5 ათასი დოლარი მაინც ხომ უნდა ჰქონდეს შემოსავალი, რომ რაღაცას ჰგავდეს ქვეყანა?!. იმისათვის რომ 2020 წლისათვის მთლიანი შიადა პროდუქტს ზრდა გვქონდეს, მინიმუმ 25 მილიარდი კილოვატაათი სჭიდება ქვეყანას. ამ ციფრებს გადაზუსტება არ სჭირდება. საიდან უნდა მოვიტანოთ ეს ელექტროენერგია? დღეისათვის ჩვენი ქვეყანა დაახლოებით 10 მილიარდ კილოვატსაათ ელექტრონერგიას აწაროებს. 9 მილიარდამდე არის ჰიდოელექტროსადურების მიერ გამომუშავებული. უფრო სწორად, 2010 წელს ჩვენს ქვეყანაში ძალიან კარგი ჰიდროლოგია იყო. ჩვენმა ჰიდოელექტროსადგუებმა მოგვცა იმდენი, რისი მოცემაც შეუძლია. ამაზე მეტს, ყოელდღე რომ წვიმდეს, მაინც ვერ მოგვცემს. მაშინ დამატებითი რესურსებია მოსაძიებელი! ნავთი ჩვენ არ გვაქვს, გაზი ჩვენ არ გაქვს. ერთადერთი გვაქვს ჰიდოენერგია, როელიც უნდა იქნეს მაქსიმალურდ ათვისებული.**

**როგორც ენერგეტიკოსი სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არამარტო ხუდონი, არამედ სხვა ჰიდროელექტროსადგურებიც ასაშენებლია.“**

# ხელისუფლება მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის წინააღმდეგია

პირველი გვერდიდან

კანონპროექტის მომხსენებლის, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან იზორიას თქმით, დებულებით, რომელიც იანვრიდან უნდა ამოქმედდეს, ჩვენების მიცემა მხოლოდ მოწმის ნება-სურვილზეა დამოკიდებული და საგამოძიებო ორგანოები მოწმეს ვერ დაავალდებულებენ. იზორია მთავარ პრობლემას სწორედ ამ დათქმაში ხედავს და ამბობს, რომ ამ კანონის ამოქმედება გამოძიების უუნარობას გამოიწვევს. **„ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა ითვალისწინებს წინასასამართლო სხდომაზე მოწმისთვის ჩვენების სავალდებულო წესით ჩამორთმევას. ასე რომ, ეს მნიშვნელოვანი ხარვეზი უნდა აღმოიფხვრას, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოძიება უუნარო ხდება. ამას სჭირდება საერთო კონსენსუსი, ფართო ფორმატი, რომელშიც ყველა მხარე იქნება ჩართული და, შესაბამისად, ერთი, დაბალანსებული მოდელი უნდა შევიმუშავოთ,“** - თქვა ლევან იზორიამ.

იზორიას მტკიცებით, ამ ნორმის ამოქმედების შემთხვევაში განსაკუთრებით სამოხელეო დანაშაულის საქმის გახსნა გართულდება. **„განსაკუთრებით იმ დანაშაულების გახსნა გართულდება, რომლებიც მოწმის ჩვენებაზეა დამოკიდებული. ასეთი, ძირითად შემთხვევაში, სამოხელეო დანაშაულებია, სადაც კორუფციულ გარიგებებზეა საუბარი. ეს, ლოგიკურად, გამოძიებას უუნაროს ხდის. პროკურატურაც ვეღარ განახორციელებს თავის ძირითად ფუნქციებს, განსაკუთრებით დისკრეციის ფარგლებში, როგორიცაა განრიდების ინსტიტუტი, როგორიცაა შეწყვეტა საჯარო ინტერესიდან გამომდინარე სისხლის სამართლის საქმისა და ეს გამოიწვევს მთელი საქმეების სასამართლოსკენ მიმართვას ანუ სასამართლოს გადატვირთულობას,“** - აღნიშნა ლევან იზორიამ.

მინისტრის მოადგილეს მიაჩნია, რომ ადვოკატების, პარლამენტის, სხვადასხვა პასუხისმგებელი უწყებების ჩართულობით უნდა მომზადდეს ისეთი მოდელი, რომელიც მაქსიმალურად იქნება დაბალანსებული და ყველა მხარის ინტერესს მაქსიმალურად გაითვალისწინებს.

ვადის გადაწევას მხარს არ უჭერს საპარლამენტო უმცირესობა. ჩიორა თაქთაქიშვილის განცხადებით, მნიშვნელოვანია, პარლამენტმა ის წესი აამოქმედოს, რომელიც მათ პროკურორის, პოლიციის თანამშრომლის და გამომძიებლის ზეწოლისგან დაიცავს. **„ეს საკითხი მნიშვნელოვანია საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის, რადგან შეიძლება, ნებისმიერი მათგანი გახდეს ზეწოლის საგანი და სამიზნე. ბოლო პერიოდში არაერთი ასეთი შემთხვევა ვნახეთ. პარლამენტმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუჭიროს მხარი გადავადებას და ამის შესახებ როგორც ადვოკატების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნა უნდა გაიზიაროს,“** - თქვა ჩიორა თაქთაქიშვილმა.

ეკა ბესელია დაინტერესდა, რატომ არ იღებდა ხმას „ნაციონალური მოძრაობა“ მაშინ, როდესაც ციხეებში ათასობით პატიმარს აწამებდნენ. **„ადამიანის უფლებები მაშინაც უნდა გაგხსენებოდათ, ადამიანებს რომ აწამებდნენ და აუპატიურებდნენ თქვენი თანაგუნდელები,“** - მიმართა ეკა ბესელიამ ჩიორა თაქთაქიშვილს.

ბრალდების ადრესატმა ჩიორა თაქთაქიშვილმა საპასუხოდ აღნიშნა, რომ უმცირესობის წევრ გიორგი ვაშაძის მსგავსად, 50 ათასი ლარის ოდენობის ჯარიმა ბესელიასაც დაეკისრება, რადგან პატიმრების წამებას აბრალებს. დეპუტატები კამათის დროს ერთმანეთს ხმის დაწევისკენ მოუწოდებდნენ.

ბესელიამ თაქთაქიშვილს მიკრიფონის გამორთვისკენაც მოუწოდა და პროცედურის დარღვევისთვის „გარეთ გაბრძანებითაც“ დაემუქრა.

კანონპროექტს არა მხოლოდ პარლამენტში, არამედ სამოქალაქო სექტორშიც აკრიტიკებენ.

რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ ამ საკითხის შესახებ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართა. სამოქალაქო საზოგადოებაში მოწმის დაკითხვის ახალი წესის უპირატესობების შესახებ ისაუბრეს. მოქმედი ძველი წესისგან განსხვავებით, ნორმა, რომელიც იანვრიდან უნდა ამოქმედდეს, უზრუნველყოფს: **„მხარეთა რეალურ თანასწორობასა და პროცესის შეჯიბრებითობას, რაც საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლით გარანტირებული პრინციპია. მხარეთა თანასწორობის მისაღწევად აუცილებელია, გაუქმდეს ბრალდების მხარისთვის ამ დრომდე მინიჭებული გაუმართლებელი უპირატესობები. კერძოდ, ბრალდების მხარის დაუსაბუთებელი უპირატესობა, რომ გამოძიების ეტაპზე სავალდებულოდ მიიღოს ჩვენება მოწმისგან, მაშინ როდესაც დაცვის მხარეს ამის უფლება არ გააჩნია. თავის მხრივ, დაცვის მხარე არ მონაწილეობს მოწმის მიერ ბრალდების მხარისთვის ჩვენების მიცემის პროცესში; სასამართლო ხელისუფლების კონტროლს მოწმესთან ურთიერთობის პროცესზე, რაც შეამცირებს მოწმეზე ზეწოლის, მცდარი და იძულების ქვეშ მიცემული ჩვენებების რისკს. მოსალოდნელია, რომ ამგვარი გარანტია გააჯანსაღებს საზოგადოების დამოკიდებულებას მოწმის სტატუსით მართლმსაჯულებისთვის დახმარების აღმოჩენის მიმართ.“**

*საკუთარი ინფორმაცია*

# შემოწმების აქტი პოლიტიკური დაკვეთის საფუძველზე

თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის მიხეილ ქავთარაძის განცხადებით, კომისიის მიერ თბილისის მერიის ადმინისტრაციის საქმიანობის შესწავლის შედეგად სერიოზული დარღვევები გამოვლინდა.

მისი თქმით, დარღვევებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შრომითი ანაზღაურების და წარმომადგენლობითი ხარჯების საკითხები.

როგორც მიხეილ ქავთარაძემ აღნიშნა, თბილისის მერიის მიერ 2012 წლის იანვრიდან 2013 წლის ივლისის ჩათვლით, შრომით ანაზღაურებაზე დახარჯულია 14 552 000 ლარი, აქედან ხელფასების სახით გაიცა 4 200 000 ლარი, დანამატების სახით - 1 500 000 ლარი, ხოლო პრემიებზე - 8 700 000 ლარი.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაციით, აღსანიშნავია, რომ პრემიები მხოლოდ თანამდებობის პირებზე გაიცემოდა და არა - რიგით თანამშრომლებზე. მისივე თქმით, 2012 წლის დეკემბერში თანამდებობის პირებზე გაცემულმა პრემიამ 704 397 ლარი შეადგინა, რაც მათი თანამდებობრივი სარგოს 500-600 პროცენტს შეადგენს.

**„არის შემთხვევა, როდესაც საჯარო მოხელეს ერთ თვეში დანამატის და პრემიის სახით მიღებული აქვს ხელფასის შესაბამისი 677 პროცენტი. მაგალითად, მერიის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი კახა ლეგაშვილი, რომელსაც 2012 წლის დეკემბერში ნამუშევარი აქვს არასრული დღეები, ხელფასად მიღებული აქვს 1 600 ლარი, ხოლო პრემიის ოდენობამ შეადგინა 10 047 ლარი - თანამდებობრივი სარგოს 25 პროცენტი. იგივე მდგომარეობაა მისი მოადგილეების შემთხვევაშიც. მერის მოადგილე შოთა ხიზანიშვილის თანამდებობრივი სარგო იყო 2 470 ლარი. ამავე დროს, 6 თვის განმავლობაში ხიზანიშვილს დანამატის სახით მიღებული აქვს 18 682 ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ მაისის თვეში ამ პიროვნებაზე დარიცხულია 21 776 ლარის ოდენობით დანამატი და პრემია, რომელიც თანამდებობრივი სარგოს 677-პროცენტია,“** - განაცხადა მიხეილ ქავთარაძემ.

მისივე თქმით, 2013 წლის მარტის თვეში გიგი უგულავას სატელეფონო ხარჯმა 38 ათასი ლარი შეადგინა.

კომისიის ინფორმაციით, ქალაქის მერმა, 2013 წლის 14 მაისს გამოცემული განკარგულებით, თავის თავს დაუნიშნა ყოველთვიური დანამატი 4.320 ლარი ანუ თანამდებობრივი სარგოს 135 პროცენტი.

სარევიზიო კომისიაში განმარტავენ, რომ თბილისის მერის განკარგულების მეორე მუხლის მიხედვით, დანამატი უნდა გაიცეს დარიცხული ხელფასის პროპორციულად.

**„განკარგულებაში არ არის დაფიქსირებული მისი ძალაში შესვლის პერიოდი, შესაბამისად, ის ძალაში შესულად ითვლება 2013 წლის 17 იანვრიდან და დარიცხვაც უნდა მომხდარიყო 2013 წლის 17 იანვრიდან, დარიცხული ხელფასების პროპორციულად. მიუხედავად ამისა, იანვარში დანამატის დარიცხვა განხორციელებულია სრულ თვეზე და შეადგენს 258.099 ლარს, ხოლო, ფაქტობრივად, დარიცხვა უნდა განხორციელებულიყო 17 იანვრის შემდეგ დარიცხული ხელფასის პროპორციულად, რაც ამ შემთხვევაში შეადგენს 129.050 ლარს. შესაბამისად, დარჩენილი 129.049 ლარი დარიცხულია და გაცემულია საფუძვლის გარეშე, უკანონოდ,“** - განმარტავენ სარევიზიო კომისიაში.

მიხეილ ქავთარაძის ინფორმაციით, მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით მთავარ პროკურატურასა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეგზავნება. მისივე ინფორმაციით, საკრებულოს სარევიზიო კომისიის აქტი 80-გვერდიანია და დანართებიც აქვს.

საკრებულოს სარევიზიო კომისიის განცხადებას თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა - განახლებული თბილისი“ გამოეხმაურა.

ფრაქციის თავმჯდომარე თამაზ შოშიაშვილის განცხადებით, ბოლო თვეების განმავლობაში, რაც სარევიზიო კომისიას მიხეილ ქავთარაძე თავმჯდომარეობს, კომისიაში არც ერთი აქტი არ განხილულა. შოშიაშვილის თქმით, კომისიის წევრები საქმის კურსში არ არიან, თუ რას აკეთებს კომისია.

ამასთან, თამაზ შოშიაშვილის ინფორმაციით, მერიის ადმინისტრაცია შემოწმების აქტს არ ეთანხმება და მასზე ხელი არ მოუწერია.

**„შემოწმების აქტი შესრულებულია პოლიტიკური დაკვეთის საფუძველზე, რადგან არც ერთი დანართი არ ახლავს და ჩვენთვის გაურკვეველია, რას ეყრდობა შესაბამისი აქტის შინაარსი,“** - განაცხადა თამაზ შოშიაშვილმა.

მისივე თქმით, მერიამ შესაბამისი აქტის შინაარსის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა არაერთგზის მოითხოვა, თუმცა, შოშიაშვილის ინფორმაციით, მერიამ აღნიშნული დოკუმენტაცია ვერ მიიღო.

**„ბატონი ქავთარაძის განცხადებები უნიჭოდ შესრულებული პოლიტიკური დაკვეთაა, რომელიც მხოლოდ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება და ეს არ გახლავთ ფინანსური დოკუმენტი, რომელიც კონკრეტულ ფაქტებს ეყრდნობა,“** - განაცხადა თამაზ შოშიაშვილმა და დასძინა, რომ უსაფუძვლო განცხადებები მერიის წინააღმდეგ აგორებულ პოლიტიკურ პიარს ემსახურება.

თამაზ შოშიაშვილი გიგი უგულავას სატელეფონო ხარჯების შესახებ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის განცხადებასაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ელემენტარული არითმეტიკა არ იცის.

**„ახლა დავთვალეთ და ელემენტარული არითმეტიკაა. გიგი უგულავას 2013 წლის მარტში, 30 დღის განმავლობაში, დღე და ღამ რომ არ დაეძინა, ტელეფონი მუდმივად ხელში ჰქონოდა და ესაუბრა, ტარიფი წუთში 90,5 თეთრი გამოდის ანუ როუმინგის ტარიფი, როცა გიგი უგულავა თბილისში იყო და ეწეოდა თავის საქმიანობას. ეს არის სრული აბსურდი და ელემენტარული არითმეტიკის არცოდნა. ეს არის პოლიტიკური შეკვეთა, რომელსაც უნიჭო ადამიანები იმდენად უნიჭოდ ასრულებენ, რომ საზოგადოებას სრულ აბსურდს აწვდიან,“** - განაცხადა თამაზ შოშიაშვილმა.

# ორმაგი ლებრონი

ზურა თალაკვაძე




ფაქტები მიმდინარე რეგულარულის ბოლო ტესტებიდან.

„მაიამიმ“ „იუტას“ 117:94 მოუგო და ლებრონ ჯეიმსმა 30 ქულა დააგროვა. დუეინ უეიდმა - 27. კრის ბოშმა - 20. სამივემ თამაშიდან სროლების, სულ მცირე, 60 პროცენტი გამოიყენა. კლასიკა. მეორედ „მაიამის“ მკვლელი სამეულის ისტორიაში ბიჭებმა 20-20 ქულა და 60-60 პროცენტი დაიმსახურეს. მანამდე, შარშან, 30 მარტს - „ტორონტოსთან“. კლასიკა. ლებრონმა 9 პასი და 9 მოხსნა დაიტოვა. ჯეიმსი მეგამონსტრი იყო. ლებრონი ხომ ძირითადად მეგამონსტრია.

114:107 „კლივლენდთან“. დეჟა ვიუ. ლებრონისგან. და ლებრონისთვის. ჯეიმსი 25 ქულას იღებს. უეიდის კოლექციაში 24 ქულა შევიდა. ბოშმა 22 დასვა. ოცდამეცამეტედ დიდი სამეულის ისტორიაში აკრიფეს ბიჭებმა, სულ მცირე, 20-20 ქულა. ჯეიმსმა 9 მოხსნა და 9 პასიც იჩუქა. ლებრონი ახლოს იყო კიდევ ერთ სამმაგ დუბლთან და ეს ლებრონის ტერიტორია, დიდი ბიჭის უბანია. თუ ჯეიმსი, უეიდი და ბოში ერთ თამაშში (სულ მცირე) 20-20 ქულას დებენ, „მაიამი“ თითქმის არ აგებს (28:5). და ჯეიმსმა ეს იცის. ლებრონის უბანში საღამოს გასეირნება სახიფათოა. იქ გატკენენ. იქ ტკივილი ჯეიმსია და ლებრონი ამ გენერაციის ალ კაპონე გახდა. იღებს ყველაფერს, რაც სურს.

„მაიამის“ შეცდომებიც აქვს. „ინდიანასთან“ გუნდმა შარშან მაგარი სერია წამოიღო. 4:3. პოლ ჯორჯმა ლებრონ ჯეიმსის საუკეთესო ინტერპრეტაცია გაგვაცნო და ორიგინალი ჯეიმსი მაინც უკეთესი იყო. ორიგინალი ყოველთვის უკეთესია. და ჯეიმსის ბენდი „პეისერზმა“ 90:84 გააჩერა. იმ დაპირისპირებაში ლებრონმა 17 ქულა (14 მოხსნა და 6 პასიც) დადო. უეიდიც 17 ქულას იღებს და ბოშის ყულაბაში 12 ქულა ჩაიყარა. „მაიამის“ დიდი სამეულის პირველი წაგება, როდესაც ვერც ერთი ტრანსფორმერი ვერ ადის 20 ქულამდე. „ინდიანა“ წელს სახიფათოა. ლებრონმა ეს იცის. ლებრონმა ეს შარშან გაიგო და ის ჯეიმსი უფრო მომთმენი იყო. ის „ინდიანაც“ დასახვეწი იყო. წელს „პეისერზმა“ ლუის სკოლა მიიღო. არგენტინელი ასრულებს. არგენტინელმა მოგება იცის. ნებისმიერ დონეზე. „მაიამის“ კარგი სერია ექნება.

**ჯეიმსი**: „ინდიანა“ შეიცვალა. შეიცვლება „მაიამიც“. თუ სხვები უმატებენ, ჩვენ ამას ვხედავთ და ვცდილობთ, მოწინააღმდეგეს მისი ყველაზე სახიფათო მოთამაშე წავართვათ, ჩვენს ზონაში შესვლის სურვილი გავუქროთ. უბრალოდ, ის მოთამაშე არ უნდა არსებობდეს. ან მას დისკომფორტი უნდა შევუქმნათ და თუ „მაიამი“ მაინც აგებს, მწვრთნელი სპოელსტრა არ ჯდება უგუნებობის დიეტაზე. მწვრთნელი სპოელსტრა ჩვენი მეგობარია და გუნდი მას ბოლომდე ენდობა. შარშან, როდესაც „სან ანტონიომ“ სერიაში 3:2 წაიყვანა და მეექვსე თამაშშიც წინ იყო, წუთშესვენების დროს (რეი) ალენმა უთხრა მწვრთნელს, არ ინერვიულო, მეშვიდე თამაშზე იფიქრე და მეექვსეს ჩვენ მივხედავთო... რეიმ პრობლემა მოაგვარა და მწვრთნელი ბედნიერი იყო. ყველაფერი კარგად დასრულდა.“

ჯეიმსი არ იცვლება. „მაიამი“ ჯერ სიტუაციას აკვირდება. არ არის აუცილებელი დაიღალო და აპრილისთვის აზრზე მოსვლა ვერ მოასწრო. ლებრონმა ეს პირველი წაგებული სუპერფინალის დროს ისწავლა. იმ სერიაში ერთმა ბიძამ პატარა ლებრონს ყური აუწია. ის ბიძა ბრიუს ბოუენი იყო. იმ ბიძამ ლებრონს აწყენინა. ბოუენები ლებრონებს ერთჯერადად ჭრიან. მერე ჭრილობები ხორცდება და არენაზე ახალი გლადიატორი გადის. რომელიც არ ელოდება ბრბოს. თუ ჯეიმსი ხედავს, რომ მეორე გლადიატორი სისხლისგან იცლება, ჯეიმსი მას ეხმარება. ლებრონი მას ეხმარება იმისთვის, რომ იმ, მეორე გლადიატორმა დანარჩენებს მიუტანოს ამბავი. ლებრონის ამბავი. თუ რამდენად დაუნდობელი და დიდსულოვანია მეფე.

ლიგაში ბევრი რამ იცვლება. ბევრი რამ არ ან ვერ იცვლება. ალბათ, არ შეიცვლება რასელ უესთბრუქი და ეს კევინ დიურანის დილემა, პრობლემაა. ალბათ, არ შეიცვლება რიკი რუბიო და ეს „მინესოტას“ ბონუსია. ალბათ, არ შეიცვლება მეტ ბონერი და ეს ყველას ცალ ფეხზე ჰკიდია. ალბათ, ვერ შეიცვლება დევიდ სტერნი და მისტერ სტერნი უკვე ისტორია, ამერიკული ლიგის მანუსკრიპტია. ვერ შეიცვლება ლებრონ ჯეიმსი. ბიჭს ახსოვს წაგებული ფინალები და ივიწყებს მოგებულ ფინალებს. მოდის ახალი მოტივაცია. ლებრონმა უნდა მოიგოს. ბევრი უნდა მოიგოს. ყველაზე მეტი უნდა მოიგოს. ჯეიმსი ვერ ამჩნევს სხვებს და ჯეიმსი ამ მხრივ ცოტა ეგოისტია. ლებრონი არ დაგიგვიანებს პასს და ლებრონი მეორე გუნდის ტიპებს ვერ ამჩნევს. ადრე ამჩნევდა და მერე აზრი შეეცვალა. რატომ უნდა დაუთმო დრო იმას, ვინც შენზე უარესია და შენ წინააღმდეგ თამაშობს? არც უთმობს. ჯეიმსი დაუნდობელია.

„მაიამიმ“ გატესტა გრეგ ოდენი, ლიგის ისტორიაში ყველაზე მდიდარი ხეიბარი ვერ აათამაშა და „მაიამი“ მაინც მონსტრია. კარგი ცენტრის გარეშე „ჰიტი“ სხვების კარგ ცენტრებს ფარავს. ბოლო გუნდი, რომელიც დომინანტი მეხუთე ნომრის გარეშე გკლავდა, მაიკლ ჯორდანის „ბულზი“ იყო და იმ ბანდაში დენის როდმანი აგვარებდა. სკოტი პიპენთან ერთად. ან სკოტი აგვარებდა დენისთან ერთად. „ბულზის“ მეორე ინკარნაციაში იყო მონდომებული რონ ჰარპერი, რომელიც ჯორდანის მაჯას და ნერვებს უფრთხილდებოდა. ჰარპერიც მოთამაშე-მწვრთნელივით საუბრობდა და გიხსნიდა ყველაფერს. რონს უყვარდა თეორია და მაიკლს უყვარდა რონი. იდეალური გუნდი. ჯეიმსი ცდილობს, რომ „მაიამიც“ იდეალური გახდეს. იმ „ბულზამდე“ მისვლა ძნელია, მაგრამ ჯეიმსი ცდილობს. ლებრონი ჯიუტი ახალგაზრდაა.

**ჯეიმსი**: „მაიკლ ჯორდანი სხვა დონეზე გავიდა. მახსოვს პირველი დრიმ თიმი. ლარის, მეჯიქის, მაიკლის გუნდი... ჩემთვის ის გუნდი საუკეთესოა. ჩვენი ნაკრებიც იგებს, მაგრამ ჯორდანის ნაკრები უფრო თავისუფლად აკეთებდა ყველაფერს. გადიხარ მოედანზე და იცი, რომ შენი მოწინააღმდეგის პირველ ხუთეულში არიან ჯორდანი, ბერდი, მეჯიქი და ჩარზლ ბარკლი. ვერ ასწრებ ვერაფერზე ფიქრს და უბრალოდ, ცდილობ მიიღო სიამოვნება. ეს სიამოვნება რჩება და ეს არ არის ერთჯერადი განცდა. ალბათ, ჯორდანი ყველა დროის საუკეთესოა, მაგრამ ყველა ასე არ ფიქრობს. ზოგისთვის უილტია საუკეთესო. ზოგისთვის ბილ რასელის 11 მოგებული სუპერფინალი უფრო მნიშვნელოვანია. ეს მართლა არაამქვეყნიური იყო... წარმოიდგინეთ, ბილი თერთმეტჯერ გახდა ჩემპიონი! ჩვენ „მაიამის“ დომინაციაზე ვსაუბრობთ? ჯერ ადრეა. ჯერ „ჩიკაგომდე“ მივიდეთ. ამის შემდეგ უკვე შეიძლება რასელის „ბოსტონზე“ საუბარი, არა?“

# გვარდიოლამ მსოფლიო საკლუბო ჩემპიონობა ჰაინკესის დამსახურებაა




მიუნხენის „ბაიერნმა“, მაროკოში ფიფას მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატის ფინალში მასპინძელი „რაჯა კასაბლანკას“ 2:0 დამარცხებით, 2013 წელს მეხუთე ტიტული დაისაკუთრა. გერმანიის ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა გაზაფხულზე მოგებულ ბუნდესლიგას, ქვეყნის თასს და ჩემპიონთა ლიგას აგვისტოში ევროპის სუპერთასი დაუმატა, ახლა კი - ფიფას მსოფლიოს საკლუბო თასი.

„წლეულს ყველაფერი მოვიგეთ. ეს დიდებულია!“ - განაცხადა „ბაიერნის“ მეკარემ მანუელ ნოიერმა და დასძინა, - იმედი მაქვს, 2014 წელიც ასეთი წარმატებული იქნება. დარწმუნებული ვარ, გვარდიოლასთან ერთად კიდევ არაერთ გამარჯვებას მოვიპოვებთ!“

„ბაიერნმა“ ფიფას მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატი პირველად მოიგო, ამ ტურნირამდე არსებული საკონტინენტთაშორისო თასი კი ორჯერ აღმართა - 1976 და 2001 წლებში.

გვარდიოლას გუნდმა 22-ე წუთისთვის ორბურთიანი უპირატესობა მოიპოვა, ამის შემდეგ კი უპრობლემოდ მიიყვანა მატჩი გამარჯვებამდე. მე-7 წუთზე დანტემ კუთხურის შემდეგ გახსნა ანგარიში, 22-ე წუთზე კი გამოჯანმრთელებულმა ტიაგო ალკანტარამ მეორედ შეარხია მაროკოელთა კარის ბადე. ნახევარფინალში გერმანელებმა მარჩელო ლიპის გაწვრთნილ „გუანჯოუს“ სძლიეს - 3:0. მესამე ადგილისთვის მატჩში ჩინელები ბრაზილიის „ატლეტიკო მინეირუსთან“ დამარცხდნენ - 2:3.

„2013 წელი გავლილია, ყველაფერი დასრულდა. ხუთი ტიტული მართლაც რომ მნიშვნელოვანი წარმატებაა. ჩემი გუნდის ყველა მოთამაშის მეამაყება. პირველ ყოვლისა მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატზე წარმატების შემოქმედნი არიან ფეხბურთელები და ჩემი წინამორბედი. აქ რომ აღმოვჩენილიყავით ჩემპიონთა ლიგის მოგება იყო საჭირო, „ბაიერნმა“ კი ლიგა წინამორბედის ხელში მოიგო. - LEquipe-თან საუბარში იუპ ჰაინკესს გარჯას უფასებს გვარდიოლა. - მიუნხენურ კლუბში მოსვლიდან ვცდილობდი სათუთად მოვპყრობოდი იმ მემკვიდრეობას რომელიც მერგო. ვცდილობ კლუბის წარმატებებს მეც რაღაც შევმატო. იმედია ყოველივე დადებითად იმოქმედებს გუნდზე“.

ხოსეპ გვარდიოლამ. პირველი მწვრთნელია, ვინც სამჯერ შეძლო ამ შეჯიბრებაში გამარჯვება. 2009 და 2011 წლებში მან „ბარსელონასთან“ ერთად მოიგო ეს ტიტული.

ფიფას მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა საუკეთესო ფეხბურთელად „ბაიერნის“ ფრანგი ლიდერი ფრანკ რიბერი აღიარა. მას „ადიდასის ოქროს ბურთი“ და „ტოიოტას“ პრიზი გადაეცა. ვერცხლის ბურთი ბაიერნის კაპიტანს ფილიპ ლამს ერგო, ბრინჯაოსი კი - რაჯა კასაბლანკას წევრს მუსინე იაჟურს.

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის მოგებით მიუნხენური კლუბის საბანკო ანგარიში 3.65 მილიონი ევროთი გამდიდრდა, 2013 წლის საპრიზო თანხა კი ჯამში 125 მილიონ ევრომდე გაიზარდა.

**ფიფას მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატის გამარჯვებულები:**

**2013** - ბაიერნი (მიუნხენი, გერმანია); **2012** - კორინთიანსი (სან პაულუ, ბრაზილია), **2011** - ბარსელონა (ესპანეთი), **2010** - ინტერი (მილანი, იტალია), **2009** - ბარსელონა (ესპანეთი), **2008** - მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი), **2007** - მილანი (იტალია), **2006** - ინტერნასიონალი (პორტუ ალეგრე, ბრაზილია), **2005** - სან პაულუ (ბრაზილია), **2000** - კორინთიანსი (სან პაულუ, ბრაზილია).

# ლევან კობიაშვილმა ლევანდოვსკი დაჯაბნა და ქება დაიმსახურა

პირველი გვერდიდან



ლევან კობიაშვილმა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 100 მატჩი ჩაატარა და ეს უკვე ბევრზე მიუთითებს. დღეს ის ბერლინის „ჰერტას“ ფეხბურთელია და ერთადერთი ქართველი ლეგიონერი, რომელიც ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს ლიგაში - ბუნდესლიგაში თამაშობს. მართალია, მოედნაზე ხშირად არ უწევს გასვლა, მაგრამ როცა გადის, დროის იმ მონაკვეთში თავის საქმეს აკეთებს.

2013 წლის ბოლო ტურის წინ ბერლინის „ჰერტას“ ქართველი ლეგიონერი ამბობდა, გვინდა წელი ამაღლებულ ნოტზე დავამთავროთო. წლის ბოლო მატჩი კი დორტმუნდში „ბორუსიას“ წინააღმდეგ (!) თამაშს ითვალისწინებდა. კობის და კომპანიის სურვილმა ფრთები შეისხა. კობიმ და კომპანიამ ბუნდესლიგის მე-17 ტურში დორტმუნდის ბორუსია 2:1 დაამარცხა, ამასთან, ქართველმა 90 წუთს ითამაშა, მოგვიანებით „კიკერმა“ ქართველი მე-17 ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა (პირველად სეზონში), იქამდე კი „ბილდის“ ქებაც დაიმსახურა: „ლევან კობიაშვილი მეოთხე სეზონია „ჰერტაშია“, მაგრამ პირველად ითამაშა ცენტრალურ მცველად. ქართველმა ერთმნიშვნელოვნად დაჯაბნა მასპინძელთა მთავარი დამრტყმელი ძალა რობერტ ლევანდოვსკი“.

შეგირდის ასპარეზობას გამოეხმაურა „ჰერტას“ თავკაცი იოს ლუჰუკაი, რომელსაც აღმოხდა: „კობი! ო, ღმერთო, მგონი ლევანდოვსკიმ მას ერთი ორთაბრძოლაც ვერ მოუგო. ლევანი თავიდან ბოლომდე კონცენტრირებული იყო“.

ვიდრე ლევან კობიაშვილის „სპორტ-ექსპრესთან“ ოდნავ სახეცვლილ ინტერვიუს გავეცნობოდეთ, უნდა თქვათ, რომ ბუნდესლიგაში მოთამაშე ლეგიონერთა მიერ ჩატარებული მატჩების რაოდენობით 36 წლის კობიაშილი მხოლოდ „ბაიერნის“ პერუელ კლაუდიო პისაროს ჩამორჩება - კობიაშვილის 340 პისაროს 356 მატჩის წინააღმდეგ.

ესეც შეპირებული ინტერვიუ:

**- როგორც წესი, მარცხენა მცველის ან საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობთ. შაბათს, „ბორუსიას“ წინააღმდეგ, დაცვის ცენტრში რატომ იდექით?**

- მეც არ ვიცი. ეს მწვრთნელს უნდა ჰკითხოთ. არ მეგონა, რომ ამ პოზიციაზე ვითამაშებდი. თუმცა, სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრა მაინც სასიამოვნოა. არადა, აქამდე დაცვის ცენტრში არასოდეს მითამაშია. კარგია, რომ ჩემთვის და გუნდისთვის ყველაფერი წარმატებით დასრულდა.

**- თამაშის შემდეგ მწვრთნელმა მადლობა გადაგიხადათ?**

- მადლობა ყველა ფეხბურთელმა დაიმსახურა, რადგან კარგად ვითამაშეთ. იმის გამო, რომ პირველმა მეკარემ კრაფტმა ვარჯიშზე ტრავმა მიიღო, კარში პირველად იდგა 18 წლის გერსბეკი, რომელსაც ბუნდესლიგაში დებიუტი ჰქონდა. მანამდე ის „ჰერტას“ მეორე გუნდში გამოდიოდა. მარჯვენა მცველი პეკარიკი კი მარცხენა ფლანგზე დააყენეს. ჩვენ გავუძელით და, რა თქმა უნდა, ბედნიერები ვართ.

**- ახლა უკვე იცით, „ბორუსიას“ ვარსკვლავური შეტევა როგორ შეაჩეროთ. საიდუმლოს გაგვიმხელთ?**

- საერთოდ, დორტმუნდელებს პირველად არ ვამარცხებ. თუმცა, უნივერსალური რეცეპტი არ არსებობს. სიტუაციები ერთმანეთისგან განსხვავდება. შაბათს ჩვენთვის ყველაფერი ცუდად დაიწყო, რადგან მე-7 წუთზე გოლი გავუშვით. მოვლენათა ასეთი განვითარებით შესაძლო იყო ახალგაზრდებს ხელები ჩამოეშვათ. მაგრამ მერე თავს კარგად ვიცავდით და, როგორც მიმდინარე სეზონის სხვა მატჩებში, საუცხოო კონტრშეტევებს ვახორციელებდით. საბოლოოდ მწვრთნელის ტაქტიკური დავალება 100 პროცენტით შევასრულეთ.

**- „ჰერტას“ პრესინგი მოედნის ცენტრში ძალიან შედეგიანი იყო.**

- „ბორუსიას“ ისეთი ფეხბურთელები ჰყავს, რომ თუ მათ ბურთის თავისუფლად მიღებისა და, მით უმეტეს, დარტყმის საშუალებას მისცემ, ძალიან გაგიჭირდება. ჩვენი ტაქტიკა ითვალისწინებდა, რომ დორტმუნდელების შეტევა მოედნის ცენტრშივე ჩაგვეშალა. ჩვენ ხომ ვიცოდით: ბოლო წლების განმავლობაში მეტოქეს სამი-ოთხი შემტევი ნახევარმცველი ჰყავს, რომელთა შეჩერება აუცილებელია. თუმცა, ერთია იცოდე როგორ თამაშობს „ბორუსია“ და სულ სხვაა ჩანაფიქრის განხორციელება.

**- ლევანდოვსკის წარმატებით გაუმკლავდით. მის წინააღმდეგ როგორ უნდა ითამაშო?**

- ვიმეორებ, რომ აქამდე დაცვის ცენტრში არ მითამაშია და პასუხის გაცემა მიჭირს. თუმცა, ისე ვმოქმედებდი, როგორც ნებისმიერ სიტუაციაში მწვავე ფორვარდის წინააღმდეგ უნდა იმოქმედო. დაცვის ცენტრში მე და ლუსტენბერგი ვთამაშობდით - ჩვენგან ერთ-ერთი ლევანდოვსკისთან ახლოს იყო, ხოლო მეორე აზღვევდა. კარგად გამოვიდა.

**- ლევანდოვსკის წინააღმდეგ ხისტად და ყურადღებით თამაშობდით. მნიშვნელოვანია, რომ მის სვლებს წინასწარ ხვდებოდით.**

- ალბათ, გამოცდილებამ თავისი როლი ითამაშა.

**- სხვათა შორის, თქვენი მეურვეობის ქვეშ მოხვედრილი ლევანდოვსკი მდგომარეობიდან გამოვიდა.**

- რა თქმა უნდა. არა მხოლოდ ის - „ბორუსიას“ ყველა წევრი როგორც მოედანზე, ისე სათადარიგოთა სკამზე. დორტმუნდელებმა ხომ ბუნდესლიგაში ზედიზედ მესამე საშინაო მატჩი წააგეს. გასაგებია, რომ უკმაყოფილონი არიან. ვფიქრობ, მიმდინარე სეზონში მათ „ბაიერნის“ წინააღმდეგ შანსი არა აქვთ. ისინი მეორე ან მესამე ადგილისთვის იბრძოლებენ.

**- მიმდინარე სეზონში იშვიათად რატომ თამაშობდით?**

- ჯანმრთელად ვარ, მაგრამ ასეთია მწვრთნელის გადაწყვეტილება. ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში, რომელიც ჩემს კარიერაში ბოლო იქნება, ვიცოდი, რომ მოედანზე ხშირად გასვლა არ მომიწევდა. ეს ნორმალურია, რადგან 36 წლის ვარ. მთავარია, რომ დორტმუნდში გავიმარჯვეთ და 90 წუთი ვითამაშე.

**- მართლაც კარგად თამაშობდით. სხვათა შორის, ბუნდესლიგაში 340-ე მატჩი ჩაატარეთ. უცხოელებიდან უფრო მეტჯერ მხოლოდ პისაროს უთამაშია - 356-ჯერ. კარიერის დასრულების შესახებ თქვენი გადაწყვეტილება საბოლოოა? არ გინდათ პისაროს გაასწროთ?**

- ფეხბურთში და, საერთოდ, ცხოვრებაში 100 პროცენტით წინასწარ რაიმეს განსაზღვრა ძნელია. თუმცა, მე მხოლოდ სეზონის ბოლომდე მაქვს კონტრაქტი.

**- თუ ისე ითამაშებთ, როგორც „ბორუსიასთან“, შესაძლოა, სიტუაცია შეიცვალოს.**

- შესაძლოა, 2018 წლამდე გავაგრძელო თამაში (იცინის).

**- ამბობენ, რომ „ჰერტას“ სტრუქტურაში მუშაობას გთავაზობენ.**

- დიახ. ჩემს კონტრაქტში არის პუნქტი, რომლის თანახმად, ჩვენს კლუბში მუშაობა შემიძლია. თუმცა, სად ვიმუშავებ და როდის, ჯერ ზუსტად ვერ ვიტყვი.

